საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 200 (20541) ◆ ოთხშაბათი, 30 აგვისტო, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.



ჩაი-89

წლეულს ჩოხატაურელი მეჩაიეები საგეგმო დავალებით 14.200 ტონა ჩაის ნედლეულს დაამზადებენ. 24 [illegible] მოიკრიფა და [illegible] გადასამუშავებლად ჩაბარდა 12.085 ტონა ჩაის ფოთოლი, [illegible] ხარისხის. [illegible]

რაიონის საერთო წარმატებაში გარკვეული წვლილი შეაქვთ ქვენობნის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეებსა და მეჩაიე-მექანიზატორებს. მექანიზატორთაგან აღსანიშნავია როინ ნიკოლაიშვილის, ნანა და მაყვალა კუტუბიძეების მოუღლელი შრომა, რომლებიც საგეგმო დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ. ამაში დიდია ხსენებული და მათი მეგობარი მეჩაიეების დამსახურებაც. თუ შარშან ჩაის ნედლეულიდან მეურნეობის შემოსავალი 470 ათასი მანეთი იყო, წლეულს შემოსავალს უფრო მეტს მოელიან.

სურათზე: მექანიზატორი როინ ნიკოლაიშვილი.

საქინფორმის ფოტო.

ძირეული რგოლი: შეფასება და არჩევანი

პარტიის წესდების შესაბამისად წელს იწყობა საანგარიშო-საარჩევნო კრებები პროფჯგუფებში, პირველადს და საამქრო ორგანიზაციებში, სადაც 15-ზე ნაკლები პარტიის წევრია. ამასთანავე XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის რეკომენდაციების საფუძველზე და სკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების თანახმად წლეულს საქართველოს კომპარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების ბიუროების, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ანგარიშები გაწეული საქმიანობის შესახებ უნდა განიხილონ შესაბამისი კომიტეტების პლენუმებზე, ხოლო პარტკომებისა და პარტბიუროებისა — პირველადი და საამქრო პარტორგანიზაციების კრებებზე. საჭიროების შემთხვევაში ამ მიზნით შეიძლება მოეწყოს შესაბამისი პარტიული კონფერენციები.

ანგარიშგება-არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა თვითკრიტიკულად შეფასდეს ეკონომიკის გაძღოლისათვის, აღმზრდელობითი და ორგანიზატორული საქმიანობის სრულყოფისათვის გაწეული მუშაობის ავ-კარგი, გავერკვეთ იმ მიზეზებში, თუ რამ გამოიწვია არჩევითი პარტიული ორგანოების, კომუნისტების ავტორიტეტის დაქვეითება, მთავარი ყურადღება მივაპყროთ იმ პრობლემების პრაქტიკულ გადაჭრას, რომლებსაც განიხილავენ კრებებსა და მიტინგებზე, მშრომელთა კოლექტივებში. მიზანშეწონილია განვიხილოთ აგრეთვე საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების პროექტი, სხვა მოსამზადებელი დოკუმენტები, რომლებიც მთლიანად რესპუბლიკის ეროვნული განვითარების კონცეფციას შეადგენენ. სკპ ეროვნული პლატფორმის პროექტი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია და, ბუნებრივია, შეუნელებელ ყურადღებას იმსახურებს მისი თითოეული პუნქტი, ამ მხრივ კონსტრუქციული წინადადებების წამოყენება. გადაუდებელ ამოცანად რჩება პარტჯგუფორგებად და პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებად შრომითი კოლექტივების ნამდვილი ლიდერების არჩევა, პოლიტიკური წინამძღოლების წარმოჩენა.

პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში ეს უმნიშვნელოვანესი კამპანია უკვე დაიწყო და თანდათან იკრებს ძალებს. პირველი შედეგები ცხადყოფს, რომ პარტიულ ჯგუფებში კრებები ტარდება კომუნისტების აქტიური მონაწილეობით. მოვლენები, რომლებიც ბოლო დროს რესპუბლიკაში განვითარდა, გულგრილს არავის ტოვებს, ყველა ცდილობს გაიაზროს მომხდარი, დიაგნოზი დაუსვას, თუ რამ მიგვიყვანა აქამდე, რას დავაკლეთ ხელი, როგორ დავძლიოთ დაბრკოლებები. საჭიროა ამგვარი საუბარი და ურთიერთმომკითხველობა უფრო გაღრმავდეს და გაძლიერდეს, ნამდვილი საბრძოლო შემართება მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ სხვას არ გადავულოცოთ პასუხისმგებლობა, ზუსტად ავწონ-დავწონოთ გაწეული ღვაწლი და ისიც ნათლად გამოვკვეთოთ, თუ რა ნაკლოვანებები გვქონდა. ამგვარი გულწრფელობის გარეშე სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ.

სწორად იქცევიან ის პარტიული კომიტეტები და პირველადი პარტორგანიზაციები, რომლებიც ითვალისწინებენ წინა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის გამოცდილებას, თავიდან იცილებენ ადრე დაშვებული შეცდომების განმეორების შესაძლებლობას, განამტკიცებენ ყოველივე პროგრესულსა და მოწინავეს, ფართოდ ნერგავენ საჯაროობისა და მოვლენებისადმი კრიტიკული მიდგომის პრინციპებს.

ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორ შესრულდა წინა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გამოთქმული შენიშვნები და კრიტიკული წინადადებანი. მაგალითად, საინტერესოა როგორი საუბარი იქნება ამ საკითხებზე ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის, ქვანახშირის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის, „საქშახტმშენის" № 7 ტრესტის ტყიბულმშენის სამმართველოსა და ქალაქის ზოგიერთ სხვა პარტიულ ორგანიზაციაში, სადაც წლის მანძილზე სათანადო ყურადღებას არ უთმობდნენ კომუნისტების კრიტიკული შენიშვნების რეალიზაციას და ამის გამო მათ მიერ გასულ და წინა წლებში წამოყენებული წინადადებების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ შეუსრულებელია. საჭიროა ქმედითი ღონისძიებები დაისახოს ამგვარი ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის, სიტყვისა და საქმის ერთიანობის მიღწევისათვის.

საანგარიშო კრება ფაქტობრივად წლის მთავარი კრებაა და მასში სარკესავით აისახება საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობა. იქ, სადაც პარტიული ორგანიზაცია თავისი დიდი მოწოდების სიმაღლეზეა, წარმართავს შრომითი კოლექტივის მუშაობას, კონტროლს უწევს ადმინისტრაციის საქმიანობას, კრებებზე იხილავს საჭირბოროტო საკითხებს და, რაც მთავარია, იღვწის მიღებულ დადგენილებათა განხორციელებისათვის. ბუნებრივია სათქმელიც ბევრი აქვთ და სამომავლო ამოცანების დასახვაც არ უძნელდებათ გაზრდილი სადღეისო მოთხოვნების ფონზე. მაგრამ პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით საპირისპირო ფაქტებსაც და ამ შემთხვევაში ვითარება უფრო გართულებულია. მაგალითად, მარნეულის რკინიგზის სადგურის პარტიული ორგანიზაცია საანგარიშო პერიოდში ვერ რაზმავდა კომუნისტებს დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად. ამიტომაცაა, რომ აქ სისტემატური ხასიათი აქვს ვაგონების მიუწოდებლობას ან დაგვიანებით მიწოდებას, მათს მოცდენებს. პარტორგანიზაცია მკაცრად არ თხოვდა კომუნისტებს პასუხს თავიანთ სამუშაო უბნებზე საქმის მდგომარეობისათვის, არ აძლევდა მათ ერთდროულ და მუდმივ დავალებებს, არ აბამდა ორგანიზატორულ მუშაობაში. აქ პარტიულ კრებებსაც იშვიათად იწვევდნენ და საკითხებიც, რასაკვირველია, მწვავედ არ განუხილავთ. საკითხავია, რით ხვდება ორგანიზაცია წლის მთავარ კრებას, რისი ანგარიში უნდა ჩააბაროს პირველადი პარტორგანიზაციის მდივანმა? ასეთივე ვითარებაა მარნეულის გაერთიანებული სახანძრო რაზმისა და საკოლმეურნეო ბაზრის პარტიულ ორგანიზაციებში.

რაც მეტი ამგვარი ნაკლი და ხარვეზია, მით უფრო საჭიროა პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა, პარტკომებმა და პარტბიუროებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მცირერიცხოვან პარტორგანიზაციებს. ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გამოცოცხლების, ინერციისაგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება ვითარების ღრმა ანალიზი, ქმედითი ღონისძიებების შემუშავება შემსრულებელთა და ვადების კონკრეტული განსაზღვრით.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების აპარატების პარტიული ორგანიზაციები, როგორც წესი, მცირერიცხოვანია და სწორედ აქ ჩატარდება ანგარიშგება-არჩევნები. საქმისათვის მეტად სასარგებლოა, რომ გაიმართოს პირუთვნელი და პრინციპული საუბარი, თუ რა წვლილი შეაქვს თითოეულ კომუნისტს, მათ შორის ყველაზე დიდი რანგის ხელმძღვანელსაც, გარდაქმნის საქმეში, საფუძვლიანად შეფასდეს თითოეულის პოლიტიკური და ზნეობრივი იერსახე, გამომჟღავნდეს ნაკლოვანებები. პრაქტიკას თუ გადავხედავთ, აქაც ბევრი ხარვეზი იჩენს თავს. მაგალითად, დმანისის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების პარტორგანიზაციამ საანგარიშო პერიოდში მხოლოდ რამდენიმე კრება ჩაატარა, ისიც, არსებითად, ზემოდან რეკომენდებულ საკითხებზე. აქ არ მოუსმენიათ კომუნისტთა ანგარიშები გაწეულ მუშაობაზე, ერთხელაც არ მოჰგონებიათ იმის შემოწმება-განხილვა, თუ რა როლს ასრულებენ რაიონის კულტურის კერები და იქ მომუშავე კომუნისტები გარდაქმნის პროცესში, როგორია აღმასკომის ხელმძღვანელი მუშაკების პოზიცია ამ პრობლემებისადმი. იმედია, კულტურის განყოფილების პარტორგანიზაცია საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მაინც გამოიჩენს საჭირო ფხას და დასახავს ქმედით ზომებს ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

რესპუბლიკაში ვითარების სტაბილიზაციის ინტერესები მოითხოვენ, რომ ახლო ვიდგეთ თითოეულ კომუნისტთან, თითოეულ ადამიანთან, გვესმოდეს მათი გულისტკივილი და მისწრაფებანი, ყველაფერს ვაკეთებდეთ მომწიფებული სოციალური და საყოფაცხოვრებო საკითხების გადაჭრისათვის. მხოლოდ ამ გზით მოვიპოვებთ მასების ნდობას და ხელს შევუწყობთ არჩევითი ორგანოების შერყეული ავტორიტეტის აღდგენას, ნდობის დეფიციტის დაძლევას. საანგარიშო-საარჩევნო კრების ერთ-ერთი მაღალი დანიშნულება სწორედ ეს არის და მიზანს მხოლოდ იმ პირობით მივაღწევთ, თუ პირუთვნელად ვეტყვით ხალხს სიმართლეს, გულახდილ საუბარს გავმართავთ გადაუჭრელ პრობლემებზე, საქმით დავამტკიცებთ პროგრესისა და სიკეთის საქმისადმი ერთგულებას.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ღრმად უნდა გაანალიზდეს პარტიის ეროვნული პლატფორმის პროექტი, დაისახოს კონკრეტული გზები რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევისათვის, პოლიტიკური სუვერენიტეტის გაფართოებისათვის. თანამედროვე ვითარებაში ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხები შორდება ვიწრო სფეროებს და ისინი განიხილება, როგორც ერთიანი და დიდი მიზნის შემადგენელი ნაწილი, ერისა და ქვეყნის ხვალინდელი დღის მაჩვენებელი. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნული დიდმნიშვნელოვანი პრობლემების ბედი წყდება თითოეულ საწარმოსა და შრომით კოლექტივში, საყოველთაო ძალისხმევითა და შემართებით, ერთსულოვანი შეკავშირებით.

პარტჯგუფებში უკვე ჩატარებული კრებების ანალიზი მოწმობს, რომ წინანდელთან შედარებით გაიზარდა იმ ძირეული რგოლების რიცხვი, სადაც წლის განმავლობაში გაწეული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა. მარტო საგარეჯოს რაიონში ასეთი შემთხვევა უკვე ხუთჯერ აღინიშნა, სახელდობრ, ყანდაურის კოლმეურნეობის ავტოპარკის, პატარძეულის სამეურნეობათაშორისო მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მემინდვრეობის განყოფილების, გარეჯის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მერძევეობის განყოფილების, ნინოწმინდის კოლმეურნეობის მესამე და მეხუთე ბრიგადების პარტიულ ჯგუფებში საანგარიშო პერიოდის მანძილზე პარტჯგუფორგების მიერ გაწეული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა. რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ წლის განმავლობაში პარტიული ჯგუფები პასიურობდნენ, ვერ რაზმავდნენ კომუნისტებსა და ყველა მშრომელს სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის, არ ატარებდნენ აღმზრდელობით მუშაობას. ყანდაურის კოლმეურნეობის ავტოპარკში, მაგალითად, ძალზე დაბალია დისციპლინა, სწორედ ამის გამო მოხდა აქ ავტოსაგზაო შემთხვევა, რასაც მოჰყვა ადამიანის მსხვერპლი.

მუშაობის არადამაკმაყოფილებლად შეფასება, რა თქმა უნდა, თვითმიზანი არ არის, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მეტი გამოსავალი არაა და ასეთი პრინციპული ნაბიჯი უნდა გადავდგათ. მხოლოდ საქმე ისაა, რომ იმ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, სადაც ჩაშლილია მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროებათ, აუცილებელია გამოვავლინოთ ნაკლოვანებათა მიზეზები, დავსახოთ მათი აღმოფხვრის ქმედითი ღონისძიებები. „კომუნისტის" რედაქციამ გადაწყვიტა შემოიღოს ახალი რუბრიკა: „შეფასდა არადამაკმაყოფილებლად, რატომ?" უკვე სათაურიდანაც ჩანს, რომ სერიოზული ლაპარაკი გვექნება ჩამორჩენის მიზეზებზე, პირველადის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაზე. ველით ჩვენი კორესპონდენტების, პარტიული აქტივის, რიგითი კომუნისტების წერილებსა და კორესპონდენციებს ამ თემაზე.

აუცილებელია მთელი გულისყურით მოვეკიდოთ პირველადი პარტორგანიზაციების არჩევითი აქტივის ჩამოყალიბებას. საჯაროობის ერთ-ერთი გაკვეთილი ისიცაა, რომ დიდი პოლიტიკა მარტო ზემო ინსტანციებში არ იქმნება, ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა საკითხებს აყენებს ძირეული რგოლი, ეს კი არსებითად დამოკიდებულია პირველადის წინამძღოლებზე, პირველადის ყველაზე ავტორიტეტიან კომუნისტებზე.

ანგარიშგება-არჩევნების წარმატების განმსაზღვრელი ის იქნება, თუ როგორ შევამჭიდროებთ ჩვენს რიგებს, რამდენად უფრო დავაინტერესებთ კომუნისტებსა და ყველა მშრომელს გარდაქმნის დაჩქარებით, როგორ წარვმართავთ საზოგადოებრივ ძალებს ჩვენს წინაშე მდგომი სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნული, პოლიტიკურ-ორგანიზატორული ამოცანების რეალური გადაწყვეტისაკენ.

ერთობლივი შეთანხმებული მუშაობისათვის

თბილისში გამართულ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს სხდომაზე განიხილეს ოფიცერთა კადრებთან მუშაობის მდგომარეობა და თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ჭითანავა, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. მუტალიბოვი და სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ო. ი. ლობოვი.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ ვ. ა. პატრიკეევის მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდა ოლქის ჯარების მეთაურთა და პოლიტიკური შემადგენლობის ფართო წრე. სხდომაზე გამოვიდნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ა. ნ. ნოვიკოვი და გ. გ. გუმბარიძე.

თავის გამოსვლაში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს პარტიულ ორგანოებს, კომუნისტებს თავიანთ ძირითად ამოცანად მიაჩნიათ მაქსიმალურად სტაბილური გახადონ ვითარება რესპუბლიკაში, დარაზმონ საზოგადოების მთელი ძალები კონსტრუქციული დიალოგის საფუძველზე, დაამყარონ სრული ურთიერთგაგება და შეთანხმებულად იმოქმედონ. როცა ზოგიერთ რეგიონში, მაგალითად, აფხაზეთსა და ქვემო ქართლში, მეტად დაძაბული სიტუაცია შეიქმნა, პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების მეცადინეობით ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ თავიდან აგვეცილებინა გარკვეული ელემენტების ის ცდები, რომ გაემწვავებინათ ვითარება, გაეღვივებინათ ეროვნებათშორისი შუღლი. აქ არ დაგვჭირდა არმიის დახმარება, ამას არ მივმართეთ.

საქართველოს მშრომელებსა და ოლქის ჯარის ნაწილებს შორის იმ კეთილი ტრადიციების განვითარება, რომლებიც მთელი რიგი წლების მანძილზე დამყარდა, შემდგომში მთლიანად დამოკიდებული იქნება რესპუბლიკის კომუნისტთა და არმიელ კომუნისტთა ნამდვილად ერთობლივ, მეგობრულ, შეთანხმებულ მუშაობაზე. შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი თანამეგობრობის ნაყოფიერების ბევრი მაგალითი, მაგრამ ცხოვრება გვკარნახობს მისი შემდგომი განმტკიცებისა და გამდიდრების საჭიროებას.

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ოფიცერთა კადრების მომზადებას, რაც მუდამ იყო ჩვენი ხალხის ტრადიციებში. თავდაცვის სამინისტროს სასწავლებლებში ახლა სამი ათასზე მეტი ჩვენი ჭაბუკი სწავლობს. მარტო შარშან სამხედრო სასწავლებლებში მიიღეს 400-ზე მეტი მკვიდრი ეროვნების წარმომადგენელი — სამჯერ მეტი, ვიდრე 1981 წელს. მაგრამ მიმდინარე წელს სამხედრო სასწავლებლებში შესასვლელად ახალგაზრდობის შერჩევის დავალება მხოლოდ 30 პროცენტით შესრულდა. მომავალი ოფიცრების მომზადების ნამდვილი სამჭედლო უნდა გახდეს საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის სახელობის სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატი. ამ სკოლის 450-ზე მეტი კურსდამთავრებული უკვე ოფიცერია.

ახლა მთავარია საარმიო სამსახურისათვის ჭაბუკთა მომზადების სრულყოფის მუშაობას მივანიჭოთ სისტემური ხასიათი, მივაღწიოთ, რომ მან უფრო მეტი გაქანება შეიძინოს. სწორედ ამას ისახავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ივლისის დადგენილება, რომლითაც დამტკიცდა ცენტრალური კომიტეტისა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს ერთობლივი ღონისძიებათა გეგმა. ადგილობრივ ორგანოებს წინადადება მიეცათ გამოიჩინონ მაქსიმალური ყურადღება და ზრუნვა სამხედრო მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის, მათი ოჯახების წევრთა შრომითი მოწყობისათვის.

ბევრი ნეგატიური მოვლენის აღმოფხვრაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებამ იმ გასაწვევთა კონტინგენტის მნიშვნელოვანი გაზრდის შესახებ, რომლებიც სამხედრო სამსახურს გადიან რესპუბლიკის და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ფარგლებში. ფართო საზოგადოებრიობა მოწონებით შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას სამხედრო სამსახურიდან უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა განთავისუფლებისა და სასწავლო წლის დაწყებისათვის აუდიტორიებში მათი დაბრუნების შესახებ.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ინდივიდუალურ მუშაობას წვევამდელ ახალგაზრდობასთან. ახალგაზრდობის გაწვევის საუკეთესოდ მოწყობის მიზნით გასაწვევთა ყველა რაზმს დანიშნულების ადგილამდე თან ახლდნენ პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული აქტივის წარმომადგენლები. ადგილებზე მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა ყველაფერი ილონეს იმისათვის, რომ ჩვენი ჭაბუკები უკეთ შეგუებოდნენ, უფრო სწრაფად შესჩვეოდნენ საარმიო ცხოვრების პირობებს. ამავე დროს უაღრესად საჭიროა მტკიცედ აღმოვფხვრათ აღმზრდელობითი მუშაობის ის ხარვეზები და სხვადასხვაგვარი დარღვევები თვით არმიის გარემოში, რომლებიც მთელი საზოგადოებრიობის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, ლახავს სამხედრო სამსახურის პრესტიჟსა და ავტორიტეტს.

ამ მიზნით განისაზღვრა ჯარის იმ ნაწილებთან სამხედრო-საშეფო ურთიერთობის დამყარებისა და გაფართოების ღონისძიებანი, რომლებშიც ჭაბუკები გადიან სამხედრო სამსახურს. მიზანშეწონილად ჩაითვალა რეგულარულად გაგზავნონ ხოლმე პარტიული და კომკავშირული კომიტეტების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ახალგაზრდობის გაწვევის ადგილებში. ისინი გაეცნობიან, თუ როგორ მსახურობენ არმიაში ახალგაზრდები, როგორ ეგუებიან ჯარში ცხოვრებას, დაეხმარებიან ქართულ ენაზე ლიტერატურით, პერიოდული ხელმონაწერითი რესპუბლიკური გამოცემებით ბიბლიოთეკების დაკომპლექტებაში და სხვ.

დასასრულ ამხანაგმა გუმბარიძემ გამოთქვა რწმენა, რომ ოლქის სამხედრო საბჭო და საქართველოს პარტიული ორგანიზაციები საერთო მეცადინეობით ყველაფერს იღონებენ არმიისა და მშრომელთა ტრადიციული ურთიერთობის აღდგენისა და გაღრმავებისათვის, რომ ყოველთვის გამოიჩენენ თავშეკავებას, დაეხმარებიან ერთმანეთს, იკისრებენ პასუხისმგებლობას, რათა არ მისცენ არასასურველ მოვლენათა საბაბი, რომ ისევე, როგორც წინათ, ერთად გადაწყვეტენ ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპზე ჩვენი პარტიის მიერ დასახულ უმნიშვნელოვანეს ამოცანებს.

(საქინფორმი).

სიტყვა პარტიის ეროვნულ პლატფორმაზე

▼▼

დრო არ იცდის

საყოველთაო განხილვისთვის გამოქვეყნებულ პარტიის ეროვნული პლატფორმის პროექტში ამოცანად წამოყენებულია რადიკალური გარდაქმნები საბჭოთა ფედერაციაში, ეროვნული პოლიტიკის რადიკალური განახლება.

როგორც პროექტის, ისე ხელისუფლების ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებების სულისკვეთებაა შეიქმნას ისეთი პოლიტიკური მექანიზმი, რომლის ფარგლებში შეიძლება გადაწყდეს საბჭოთა ერებისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის განვითარების მომწიფებული საკითხები. ასევე განაახლოს ფედერაცია, შეავსოს იგი რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური შინაარსით.

ყველაფერი ეს მისასალმებელია, მაგრამ პროექტის შესახებ შენიშვნებიც გვაქვს.

პროექტის ქვეთავი — „როგორ გარდავქმნათ და სისხლსავსე გავხადოთ საბჭოთა ფედერაცია", ფედერაციის გარდა სხვა ფორმას არ ცნობს და ავალდებულებს რესპუბლიკას იარსებოს მხოლოდ მის ფარგლებში.

აქ ალტერნატიული წესითაც კი არ არის დასმული საკითხი, რომელია უკეთესი: ფედერაცია თუ კონფედერაცია. ანგარიში არ ეწევა პრესაში გაშლილ პოლემიკას.

ჩემი აზრით, დაკონკრეტებას საჭიროებს თანამედროვე პირობებში მოკავშირე რესპუბლიკებისათვის მისაღები ფედერალიზმის საფუძვლები.

დოკუმენტში ერის უფლებებზე საუბარი ზოგჯერ ზოგადია. ერის უფლებები ცალკე მუხლად უნდა შევიდეს. თუ რესპუბლიკაში (სხვა დანაყოფში) კონკრეტულად არ იქნება გათვალისწინებული თითოეული ერის (ეროვნების) უფლებები, ეროვნებათაშორისი ურთიერთობა მოწესრიგებულად ვერ ჩაითვლება.

იაკობ ახუაშვილი,
პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

მშენებლობა: რადიკალური რეფორმა

იჯარის სიკეთე

ძნელი და უმადური პროფესია გვაქვსო, ხშირად გაიგონებთ ხოლმე მშენებლებისაგან და საქმეში ცოტად თუ ბევრად ჩახედულ კაცს ეს განცხადება წუწუნად სულაც არ მოეჩვენება.

მართლაც, რთული და ძნელია მშენებლის საქმე და სამუშაო. ხშირად ისინი ზამთარ-ზაფხულში ღია ცის ქვეშ მუხლჩაუხრელად მუშაობენ, მაგრამ ყველაზე მეტი საყვედური სწორედ მაინც მათი მისამართით გაისმის — ცუდად გვიშენებენო. მიზეზს კი არავინ დაგიდევთ. თუმცა, კაცმა რომ თქვას, შემკვეთი არცაა ვალდებული ამის მიზეზები იცოს.

მიზეზი კი მრავალზე უმრავლესია. ვის არ გინახავს სამშენებლო ობიექტზე გამოკრული ლოზუნგი: „ვაშენოთ სწრაფად, იაფად, ხარისხიანად" (ახლა აღარ აკრავენ), მაგრამ სწრაფად და იაფად განა კარგი და ხარისხიანი სახლი, ხიდი თუ სხვა რომელიმე საინჟინრო ნაგებობა აშენდება?

არ აშენდება და არც შენდებოდა. სახლს, რომელსაც კარ-ფანჯრები, იატაკი გამოსაცვლელი აქვს, კაფელი ასაყარი და შპალერი ხელახლა გასაკრავი, სახლი ეთქმის?

ბოლო დროს ვითარება რამდენადმე იცვლება და საყვედურებიც უფრო ნაკლებად ისმის მშენებლებისადმი. ისინი პირველ ნაბიჯებს დგამენ გარდაქმნის გზაზე. შრომის ორგანიზაციის ახალი მეთოდები ინერგება მშენებლობებზეც, მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადადიან მშენებლებიც.

შევეცდებით მშენებელთა ერთი, არცთუ მრავალრიცხოვანი კოლექტივის მაგალითზე დავანახოთ ის შესაძლებლობანი და პერსპექტივები, რაც რადიკალური ეკონომიკური რეფორმის პრაქტიკულ რეალიზაციას შეიძლება მოჰყვეს.

„საქაგრომშენის" რესპუბლიკური გაერთიანების სენაკის № 5 ტრესტის მარტვილის № 47 მოძრავ-მექანიზებული კოლონა, რომელსაც სათავეში ახალგაზრდა ინჟინერ-მშენებელი ნუგზარ ცანავა უდგას, 1988 წლის 1 ნოემბრიდან იჯარაზე გადავიდა და ტრესტთან 12 წლის ვადით დადო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც შრომით კოლექტივს იჯარით გადაეცა ძირითადი საწარმოო საშუალებანი: შენობა-ნაგებობანი და დანადგარები, მანქანები და მოწყობილობანი, მთელი ტექნიკა. თავის მხრივ კოლექტივმა ვალდებულება იკისრა, შეინახოს და მოუაროს ამ ქონებას, აწარმოოს მექანიზმებისა და ნაგებობათა მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების, რეკონსტრუქცია-განახლების სამუშაოები, ააშენოს საცხოვრებელი სახლები და სხვა საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ნაგებობანი.

ყველაფერი ეს მან საკუთარი სახსრებით და სახელმწიფოსაგან აღებული მოკლევადიანი სესხით უნდა გააკეთოს. ამასთან, სამშენებლო ორგანიზაციამ ტრესტს სამეურნეო შემოსავლიდან ყოველწლიურად უნდა გადაუხადოს შრომითი რესურსებისა და საიჯარო გადასახადი (ჯერჯერობით, როგორც „დაბალრენტაბელური ორგანიზაცია, 1991 წლამდე იგი განთავისუფლებულია საწარმოო ფონდებისა და შრომითი რესურსების გადასახადისაგან).

ამ ხელშეკრულებით შრომითი კოლექტივი საწარმოო ფონდების მფლობელი, მისი სრული ბატონ-პატრონი გახდა.

ხელშეკრულებასთან ერთად შემუშავებულ იქნა საწარმოს საფინანსო-სამეურნეო გეგმა 2000 წლამდე პერიოდისათვის. ყველაფერი დაიგეგმა იმ ვარაუდით, რომ სამშენებლო ორგანიზაციას მოკლე ვადაში სრული დამოუკიდებლობა მოეპოვებინა, სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასულიყო, თვითონ გაეწია ყველა საჭირო ხარჯი და თვითონვე აენაზღაურებინა თავისი წევრებისათვის შრომის საფასური.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქმის დასაწყისს. მუშაობა ისე უნდა წარემართათ, რომ კოლექტივის თითოეულ წევრს იმთავითვე ეგრძნო მეურნეობრიობის ახალი სისტემის უპირატესობა.

როგორც დაინახეთ, ამ სიახლის — იჯარული მეთოდის პრინციპი მარტივია: შრომითი კოლექტივი თავის განკარგულებაში იღებს საწარმოო ფონდებს და შესაძლებლობა ეძლევა მაქსიმალურად გამოიყენოს ისინი, დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეურნეო მოქმედების მიმართულებანი, თავად აირჩიოს დამკვეთი და გააფორმოს მასთან პირდაპირი ხელშეკრულება (ოღონდ არის საგეგმო სახელმწიფო შეკვეთები, რომელთა შესრულება აუცილებელია) და, რაც მთავარია, სამეურნეო შემოსავლის ფონდები ნაწილდება არა ზემოდან დაშვებული ნორმატივებით, არამედ ადგილზევე, შრომითი კოლექტივის საბჭოს მიერ. ეს თითქმის სრული დამოუკიდებლობაა. მაგრამ ჯერ ამ პრინციპის პრაქტიკულ განხორციელებაზე რომ მიდგა, გზადაგზა მრავალი დაბრკოლება და წინააღმდეგობა წამოიჭრა. ყველაზე ძნელი აღმოჩნდა ადამიანების დარწმუნება, გაყოლიება. ათეული წლობის მანძილზე სიცრუესა და სიყალბეზე დამყარებული ურთიერთობანი ადვილი შესაცვლელი არ იყო, მიეჩვივნენ და ყველას თვალი ეჭირა მოტყუებაზე, ყალთაბანდობაზე. თუ გაუვიდოდათ და ხელი მიუწვდებოდათ, წამატებებსა და სხვა დანაშაულზეც არ იტყოდნენ უარს.

ასე იმიტომ ხდებოდა, რომ შესრულებდა, თუ არ შესრულებდა სამშენებლო ორგანიზაცია დასახულ ამოცანას — მშენებლობის, კაპიტალდაბანდების, მოგების, თვითღირებულების შემცირების და სხვა გეგმებს, საშტატო ერთეული მაინც ღებულობდა გასამრჯელოს ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული ნორმატივებისა და საშტატო განაკვეთების მიხედვით მაშინაც კი, როცა სამშენებლო ორგანიზაცია ზარალით მუშაობდა და სახელმწიფო დოტაციაზე იმყოფებოდა.

ახლა ყველაფერი ეს ისპობოდა. ყველას თავისი შრომითი წვლილის მიხედვით უნდა მიეღო. თუ ათ კუბურ მეტრ ბეტონს ჩაასხამდი, ოცს ვერავინ დაგიწერდა, შენს გაფუჭებულ მანქანას სხვას ვერ მიუგდებდი გასაკეთებლად, შენვე უნდა გაგეკეთებინა...

მაგრამ ძველი ინერცია, საქმისადმი ძველებური დამოკიდებულება და მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობილება მაინც ბორკავდათ. კიდევ იყვნენ სხვისი ზურგით გაღმა გასვლის მოიმედენი.

ეს ბარიერი უფრო ადვილად რომ დაეძლიათ, შემოიღეს შრომის ანაზღაურების ქულებრივი სისტემა. საწარმოში დასაქმებულ თითოეულ მუშაკს განსაზღვრული აქვს და იცის თავისი უფლება-მოვალეობანი, რომელთა შესრულება ფასდება ქულებით 1-დან 10-მდე. მაგალითად, უბნის უფროსის უფლება-მოვალეობა განსაზღვრულია 15 პუნქტით, სამეურნეო შემოსავალში კი მისი წილი 266 მანეთია. მაგრამ ამ თანხას მთლიანად იგი მხოლოდ მაშინ მიიღებს, თუ სულ ცოტა 133 ქულას მოაგროვებს, ე. ი. თითოეული ქულის ღირებულება 2 მანეთია. უბნის უფროსისათვის მაქსიმალური — 10 ქულა დაწესებულია ძირითადი მაჩვენებლების — საწარმოო გეგმის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, თვითღირებულების შემცირებისა და მოგების, უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის დავალებების შესრულებისათვის, სხვა მაჩვენებლებისათვის კიდევ სხვადასხვა ოდენობის ქულებია დადგენილი.

თუ აქედან რომელიმე პუნქტი არ შესრულდა, უბნის უფროსი ჰკარგავს ქულებს და მთლიან გასამრჯელოს ვერ მიიღებს, თუნდაც სამეურნეო შემოსავალი ამის საშუალებას იძლეოდეს.

შრომითი წვლილის მიხედვით შემოსავლის განაწილების პრინციპი და ამით კოლექტივის თითოეული წევრის დაინტერესება საქმის ერთი მხარეა. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ყოველი მათგანი დაინტერესებული იყოს იმითაც, რომ მინდობილი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულოს ნაკლები დანახარჯებით, საწარმოო ფონდების მაქსიმალური გამოყენებით, გამიზნულად გამოიყენოს საშენი მასალები, მანქანა-მექანიზმები, ტრანსპორტი. ამის გათვალისწინებით საგრძნობლად შეამცირეს საწარმოო საშუალებანი. თუ შარშან № 47 მექანიზებულ კოლონას № 5 ტრესტის 30 სამშენებლო მექანიზმი და ტრანსპორტი ემსახურებოდა, წელს იგი 17-მდე შეამცირეს.

აქედან მიღებული ეკონომიაც საერთო შემოსავალს შეემატა, საბოლოოდ კი ყველაფერი ეს თავს იყრის ერთიანი ხელფასის ფონდში.

მაგრამ საჭიროა მეურნეობრიობის ამ ახალი სისტემის პირობები და კრიტერიუმები ღრმად ჰქონდეს შეცნობილი შრომითი კოლექტივის თითოეულ წევრს, იცოდეს, რომ მოცდენილი ტრანსპორტი თუ მექანიზმი, ყოველი დაკარგული აგური, უქმად გაფლანგული ყოველი წუთი პირდაპირ გავლენას ახდენს მის შემოსავალზე. იმ მიზნით, რომ ეს კარგად შეეგნო ყველას და თითოეულის წვლილობრივი როლი საერთო საქმეში ნათელი და ხელშესახები გაეხადათ, შემოიღეს „პირობითი ფული" და „პირობითი ბანკი". მისი მექანიზმი მარტივია. ვთქვათ, რომელიმე ბრიგადა იღებს ობიექტს და კისრულობს მის აშენებას. ამისათვის მას იმ პირობითი ბანკიდან გამოაქვს „ფული" — კრედიტი, რითაც საანგარიშო ფასებში „ყიდულობს" საშენ მასალებს, კონსტრუქციებს, დაიქირავებს მექანიზმებს და ავტოტრანსპორტს, შემდეგ კი, როცა დაამთავრებს ობიექტს, იმავე „საანგარიშო ფასებში" ყიდის მას.

ყველაფერი, ხარჯის გაწევა, ეკონომია, წაგებაც და მოგებაც დამოკიდებულია თვით ბრიგადაზე. თუ მომჭირნეობას გასწევ და ნაგებობა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაზე ნაკლები დაგიჯდება, აღებული კრედიტიდან დარჩენილ თანხას ჯიბეში ჩაიდებ, ხოლო თუ გადახარჯავ, ვალი დაგედება და სარგებლის პროცენტიც უნდა გადაუხადო „ბანკს".

ასეთი საფინანსო ურთიერთობანი რამდენადმე სააქციო საზოგადოების სტრუქტურას მოგვაგონებს. შრომითი კოლექტივის წევრები, უბნები, ბრიგადები თითქოს იძენენ აქციებს, თავის შეხედულებისამებრ ხარჯავენ და აბანდებენ მას, ხოლო მიღებული შემოსავალი მათ უნარზე, სიმარჯვესა და გამჭრიახობაზეა დამოკიდებული.

ჯერ მხოლოდ ათი თვეა, მარტვილის № 47 მოძრავ-მექანიზებული კოლონის კოლექტივი მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადავიდა, მაგრამ პირველი წარმატებები უკვე ხელშესახებია. გასული სამეურნეო წელი 324 ათასი მანეთის მოგებით დაამთავრეს. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ეს პირველი შემთხვევაა, როცა მშენებლებმა მოგებით იმუშავეს. მანამდე კი მუდამ წამგებიანი იყო მშენებლობა და სახელმწიფო დოტაციის იმედით იყვნენ.

სამომავლოდ მშენებლები უფრო დიდ და გაბედულ მიზნებს ისახავენ, მეტი და მეტი მოგებით რამდენიმე წელიწადში ერთიორად გავზრდითო შრომითი კოლექტივის თითოეული წევრის შრომის საფასურს — საერთო შემოსავალს.

ამ მიზნით მთლიანად განაახლებენ სამშენებლო ტექნიკას, ტრანსპორტს და მაქსიმალურად შეამცირებენ ხელით შრომას, შექმნიან საშენი მასალებისა და კონსტრუქციების საკუთარ საწარმოებს. ახლო, უფრო საქმიან ურთიერთობას დაამყარებენ შემკვეთებთან, რათა ყოველთვის ხარისხიანად შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოგვიდგინონ და დროულად დაფინანსდეს სამშენებლო ობიექტები.

ბოლოს შეგვეძლო, როგორც ეს ასეთი ხასიათის საგაზეთო წერილშია მიღებული, დაგვესახელებინა მოწინავე ადამიანები, ბრიგადები, უბნები, მაგრამ ამჯერად ეს საჭიროდ არ ჩავთვალეთ, რადგან ახალი მეთოდით მუშაობამ ისეთი პირობები შექმნა, რომ კოლექტივის წარმატება მისი თითოეული წევრის წარმატებას ნიშნავს, რითაც ყველა ერთნაირად არის დაინტერესებული.

მიხეილ მიქაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

განვიხილავთ საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის ძირითად მიმართულებათა პროექტს

დავეყრდნოთ ცხოვრებას და არა მზამზარეულ სქემებს

— პრესაში გამოქვეყნებული რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის პროექტები, როგორც ცნობილია, ახლა ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. ეკონომიკის კრიზისულმა მდგომარეობამ დაგვაყენა იმის საჭიროების წინაშე, რომ გადავდგათ გადამწყვეტი ნაბიჯი, მივიღოთ რადიკალური ზომები სახალხო მეურნეობის გაჯანსაღებისათვის. თქვენი აზრით, ამ გარდაქმნებში რა როლი უნდა შეასრულოს რესპუბლიკის საბანკო სისტემამ? — ამ კითხვით დაიწყო საქინფორმის კორესპონდენტმა საუბარი სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის გამგეობის თავმჯდომარესთან **მიხეილ ლიხაჩოვთან.**

— ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ეკონომიკის განვითარების სახელდობრ რა მოდელს ავირჩევთ. თუ საქმე ეხება მეურნეობრიობის საბაზრო მეთოდებს სახელმწიფო ეკონომიკური რეგულირების ელემენტებითურთ, ესე იგი იმ მოდელს, რომელმაც პრაქტიკულად გაამართლა მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში, მაშინ იგი გულისხმობს იმას, რომ მოიხსნას ბიუროკრატიული დაბრკოლებების აბსოლუტური უმრავლესობა დამოუკიდებლობის გზაზე და ამ თვალსაზრისით მისი უპირატესობანი ცხადია. ეს ეხება გასაღებისა და პარტნიორობის ბაზრებს, ფასწარმოქმნასა და შრომის ანაზღაურებას და ა. შ.

სახელმწიფოს როლი ამ შემთხვევაში უნდა იყოს მინიმალური ჩარევა ეკონომიკურ ცხოვრებაში ეკონომიკის სტიმულირების ან განვითარების შეკავების გზით კრიზისული მოვლენების თავიდან აცილებისათვის.

ამისათვის სახელმწიფო იყენებს კანონმდებლობას, აგრეთვე ისეთ ინსტიტუტებს, როგორიცაა ფინანსთა სამინისტრო და ცენტრალური ბანკი. თუ კანონი განსაზღვრავს ქცევის ნორმებს, რომლებიც უშვებენ მეწარმეობის თავისუფლებას, ფინანსთა სამინისტრო და ცენტრალური ბანკი ეკონომიკური ინსტიტუტებია, რომლებსაც ისეთი ბერკეტები აქვთ, როგორიცაა გადასახადები, საპროცენტო განაკვეთები და სხვები, რისი მეოხებითაც სახელმწიფო წარმართავს საჭირო კალაპოტით ეკონომიკის განვითარებას. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებანი არეგულირებენ ერთობლივ მოთხოვნას, უშუალო ზეგავლენას ახდენენ ბრუნვაში მყოფ როგორც პირადი, ისე უნაღდო ფულადი მასის მოცულობაზე. მე სწორედ ასეთი მოდელის მომხრე ვარ.

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, როგორც ეს ასახულია გამოქვეყნებულ პროექტებში, ყველა ფორმის საკუთრებას უნდა ჰქონდეს არსებობის უფლება და ბანკებზეც უნდა ვრცელდებოდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კანონი უნდა ითვალისწინებდეს როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერაციული, კერძო, შერეული და უცხოეთის კაპიტალთან ერთობლივი საკრედიტო დაწესებულებების შექმნას.

როცა ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ კიდევ ერთი პრინციპული საკითხი — ეროვნული ფულადი ერთეული. ფულის მიმოქცევის (ნაღდი და უნაღდო) არავითარ რეგულირებაზე არ შეიძლება ლაპარაკი, თუ შემოღებული არ იქნება ეროვნული ფულადი ერთეული. ეს ჩემი ღრმა რწმენაა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, რა ღონისძიებანიც უნდა განვახორციელოთ, გარეშე გავლენისაგან, ინფლაციური პროცესებისაგან ეკონომიკის დაცვას ვერ შევძლებთ. ტალღა უბრალოდ წაგვლეკავს, რესპუბლიკის და მთლიანად ქვეყნის ფულის ბრუნვის მასშტაბი და მოცულობა უბრალოდ შეუპირისპირებადია.

— სხვაგვარად რომ ვთქვათ, თქვენ გსურთ ბრძანოთ, რომ დღევანდელ პირობებში ეროვნული ფულის ერთეულის შემოღება ეკონომიკური დამოუკიდებლობის ფარგლებში ეკონომიკის ნორმალიზაციის ერთ-ერთი სავალდებულო პირობაა?

— დიახ, აქ ორი აზრი არ შეიძლება იყოს. და ადრე თუ გვიან იძულებული ვიქნებით ეს მაინც გავაკეთოთ. სჯობს, თუ ეს ადრე იქნება. ან კიდევ უფრო ზუსტად, დროზე იქნება. აქვე უნდა შევეხოთ სხვა ვალუტებზე ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსსაც. ეს კურსი სავალუტო ბაზარზე უნდა განისაზღვრებოდეს მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შექმნილი თანაფარდობის შედეგად და მას არ ადგენდეს რომელიმე ორგანო.

სსრ კავშირის სახბანკის მიერ ვალუტების გაცვლითი კურსის დადგენის ახლა არსებული წესი არ უნდა გადავიღოთ, რადგან მას საფუძვლად უდევს სუბიექტივიზმი და რეალობებს არ ასახავს.

ამასთან დაკავშირებით გვერდი არ უნდა ავუაროთ ზოგიერთ, მეტი რომ არა ვთქვათ, გაუგებარ გამონათქვამებს ეროვნული ფულადი ერთეულის შემოღებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა სიძვირის შესახებ.

არ ვიცი, რამდენიმე მილიონის რა დანახარჯებზე არის ლაპარაკი და ვინ გამოიანგარიშა ეს დანახარჯები, მაგრამ ეს ასეც რომ იყოს, რამდენად სერიოზულია უარი ვთქვათ ასეთ დანახარჯებზე, როცა ყოველწლიურად ბრუნვაში გამოდის ასობით მილიონი მანეთი, ყოველგვარი სასაქონლო უზრუნველყოფის გარეშე?

— გარკვეულ საბანკო წრეებში ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას ორი წლის წინათ განხორციელებული საბანკო სტრუქტურის რეორგანიზაციის გამო. გამოთქვამენ სულ სხვადასხვა მოსაზრებებს მომავალი საკრედიტო სისტემის შესახებ, მაგრამ მათი უმრავლესობა იმას გულისხმობს, რომ, თითქოს წინათ, როცა ერთი სახელმწიფო ბანკი იყო, ყველაფერი შესანიშნავად იყო. რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე?

— ბევრი რამის თქმა შეიძლება. დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ სახელმწიფო ბანკი პრაქტიკულად მარტოდ არასოდეს არ ყოფილა. მოდით, ნუ ჩავუღრმავდებით ისტორიას — მხოლოდ ის ვთქვათ, რომ საბანკო სტრუქტურის რეორგანიზაციამდე მის პარალელურად ფუნქციონირებდნენ მშენბანკი, საგარეო-სავაჭრო ბანკი, შემნახველი სალაროების სისტემა (რესპუბლიკაში — დამოუკიდებელი სამმართველო). რეორგანიზაციის შედეგად კი რა მოხდა?

აი რა მოხდა: შემნახველი სალაროების სისტემამ ბანკის სტატუსი შეიძინა, საგარეო-სავაჭრო ბანკი საგარეო ეკონომიკურ ბანკად გადაკეთდა, სახელმწიფო ბანკს ჩამოერთვა სახალხო მეურნეობის დარგების (მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, საქალაქო მეურნეობა, ვაჭრობა და სხვ) მომსახურების ფუნქციები და განაწილდა არსებულ მშენბანკსა, რომელსაც მრეწვმშენბანკი ეწოდა, და ახალ აგრომრეწვბანკსა და ბინსოცბანკს შორის. მიეცათ აგრეთვე კოოპერაციული და კომერციული ბანკების შექმნის უფლება.

ჩვენმა საგარეო-ეკონომიკურმა ბანკმა, რომელიც არაერთი ათწლეულია მოქმედებს, შეიცვალა სახელწოდება და იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკებს გაეცათ უფლებანი საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის დარგში, დაიწყო რესპუბლიკური დაწესებულებების გახსნა.

— მაინც რა მოგვცა საბანკო სისტემის რეორგანიზაციამ? რა პრინციპული პლუსები და მინუსები აქვს ამ რეორგანიზაციას?

წმინდა ორგანიზაციული თვალსაზრისით რეფორმა, ჩემი აზრით, ხწორად მოეწყო, რაც შეეხება მის არსს, აქ დაშვებული იყო, ისევ ჩემი აზრით, სერიოზული შეცდომები.

დადებითად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ, თუმცა ფორმალურად, მაგრამ მაინც სახბანკის ბაზაზე შეიქმნა ახალი ცენტრალური ბანკი, რომელიც უშუალოდ არ აწარმოებს სახალხო მეურნეობის დაკრედიტებას. საქმე ის არის, რომ ერთ ხელში ფულის მიმოქცევის რეგულირებისა და სახალხო მეურნეობის დარგების დაკრედიტების ფუნქციების თავმოყრა დაუშვებელია. თუ ბანკის მოგებაა პროცენტები კრედიტისათვის, ამ ბანკს უბრალოდ უნარი არ შესწევს ობიექტურად მოახდინოს ფულის მიმოქცევის რეგულირება. მაშასადამე, როგორც ეს იყო სინამდვილეში, თავის საემისიო პოლიტიკას უწყებრივ ინტერესებს უქვემდებარებს. ეს რეალობაა, და ამისათვის ანგარიშის გაუწევლობა არ შეიძლება.

ამასთან, უკანასკნელ ხანს, მათ შორის ჩვენს რესპუბლიკაში, სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები სახელმწიფო ცენტრალურ ბანკთან სპეციალიზებული ბანკების შერწყმის სასარგებლოდ. ამას ასაბუთებენ კადრების უკმარისობითაც, სახბანკის ერთიანი სისტემის შექმნის საჭიროებითაც, ბანკების ფუნქციონირებაში პარალელიზმის მომიზეზებითაც და სხვა მომენტებითაც, რომლებიც ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

ყველას აქვს უფლება, რა თქმა უნდა, შემოგვთავაზოს რაღაც თავისი, მაგრამ ამ დროს, ალბათ, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვიხელმძღვანელოთ საქმის ინტერესებით. თუ საჭიროა შეიქმნას ახალი სახელმწიფო კომერციული ბანკი, მაშინ ამ საქმეს დაბრკოლებები არ უნდა ექმნებოდეს, მაგრამ მისი ფუნქციების შეერთება ცენტრალური ბანკის ფუნქციებთან დაუშვებელია.

საკრედიტო სისტემის მომავალი, განსაკუთრებით რესპუბლიკურ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლასთან დაკავშირებით, ჩემი აზრით, საბანკო საქმის ახალი კონცენტრაცია, სპეციალიზებული ბანკების გაუქმება კი არა, არამედ ლოგიკურ დასასრულამდე საბანკო რეფორმის მიყვანა, იმ ხარვეზების აღმოფხვრაა, რომლებიც რეორგანიზაციის დროს იყო დაშვებული.

— ამისათვის რა უნდა გაკეთდეს?

— უწინარეს ყოვლისა საჭიროა ცენტრალურ ბანკს, ესე იგი „ბანკთა ბანკს" მიენიჭოს ყველა ის ფუნქცია, რომლებიც დამახასიათებელია ასეთი ტიპის დაწესებულებებისათვის განვითარებულ ქვეყნებში. სახელდობრ, მიეცეს მას უფლება დააწესოს დისკონტის განაკვეთები, ბანკების სავალდებულო რეზერვების ნორმები, განახორციელოს პოლიტიკა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ნაწილში, დააწესოს კრედიტების ზღვრული ოდენობანი, დააწესოს თანაფარდობა ბანკების საკუთარ და მოზიდულ სახსრებს შორის და ა. შ. რაც შეეხება უშუალოდ საწარმოებისა და ორგანიზაციების დაკრედიტებას, ამას კომერციული ბანკები უნდა ეწეოდნენ.

—ამ დროს საჭიროა თუ არა სპეციალიზებული ბანკები?

— საკითხის ასეთი დაყენება თავისთავად გაკვირვებას იწვევს. როგორც ჩანს, ყველას როდი ესმის, რომ ჩვენი სპეციალიზებული ბანკები სხვა არა არის რა, თუ არა კომერციული ბანკები. თუ არსებობს ბანკი, რომელიც მუშაობს როგორც სამეურნეოანგარიშიანი ერთეული, ემსახურება საწარმოთა ჯგუფს ან დარგს, მაშინ რატომღა დგება საკითხი მისი გაუქმების შესახებ?

— ამბობენ, ამის გაკეთება სხვა ბანკს შეუძლიაო.

— დაე გააკეთოს, ამაში ხელს მას არავინ არ უნდა უშლიდეს. რაც უფრო მეტი ბანკია, მით უფრო მაღალია კონკურენციის დონე, მით უფრო ფართოა არჩევანის შესაძლებლობანი. თავი უნდა დავაღწიოთ აზროვნების ძველ სტერეოტიპებს და მომავალს ვუყურებდეთ არა დღევანდელი, არამედ მომავლის პოზიციებიდან. თუ ვაპირებთ ჩვენი ეკონომიკა განვავითაროთ კონკურენციის პრინციპებზე, ცხოვრება თვითონ მიუჩენს ყველაფერს თავის ადგილს.

მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ სპეციალიზებული ბანკები არა თუ არ ქრება, პირიქით, ინტენსიურად ვითარდება. სხვათა შორის, ბევრი მათგანი თუ წინათ სპეციალიზებული იყო, ამჟამად მათი სახელწოდებანიღა დაგვრჩა ხსოვნაში — ახლა ისინი მსხვილი უნივერსალური კომერციული ბანკებია.

— მაშინ რამდენიმე სიტყვა გვითხარით თქვენს ბანკზე. რას წარმოადგენს იგი ახლა და როგორს ხედავთ მას მომავალში, როცა რესპუბლიკა ეკონომიკურ დამოუკიდებლობას მიაღწევს?

— დღეს ჩვენი ბანკი სახელმწიფო, სპეციალიზებული, კომერციული ბანკი სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური ბანკის დაწესებულებაა. დებულების თანახმად, უფლება გვაქვს განვახორციელოთ საერთაშორისო და შიდაანგარიშსწორება, დაკრედიტება როგორც მანეთებით, ისე უცხოური ვალუტით. ჩვენს ფუნქციებში შემოდის საწარმოთა და ორგანიზაციათა ანგარიშების გაძღოლა მანეთებითა და უცხოური ვალუტით. უცხოური ვალუტით ვხსნით და ვაწარმოებთ აგრეთვე მოქალაქეთა ანგარიშებს. ბანკი ახორციელებს თავისი კლიენტურის საკასო მომსახურებას, ასრულებს სხვა ოპერაციებსაც.

ამავე დროს ჩვენი შესაძლებლობანი, განსაკუთრებით დაკრედიტების სახსრების მიზიდვის დარგში, გარკვეულწილად დამოკიდებულია ზემდგომ ორგანიზაციაზე. ყოველივე ეს სპეციფიკურ დაღს ასვამს ჩვენს საქმიანობას.

ამავე დროს, ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, ჩემი აზრით, უნდა მოჰყვეს რესპუბლიკაში დამოუკიდებელი სპეციალიზებული და უნივერსალური კომერციული ბანკების შექმნა, რომლებიც განახორციელებენ საგარეო-ეკონომიკური ხასიათის ოპერაციებს ისეთივე პირობებით, რომლებითაც ანალოგიური დაწესებულებანი მუშაობენ მთელ მსოფლიოში.

ამ ბანკებს უნდა ჰქონდეთ საერთაშორისო ბაზრებზე დეპოზიტური და საკონვერსიო ოპერაციების განხორციელების, უცხოური ბანკებისაგან გრძელვადიანი კრედიტების მოზიდვის, უცხოურ ბანკებთან უშუალო საკორესპონდენტო ურთიერთობის დამყარების უფლება. ასეთი საკრედიტო დაწესებულებანი შეიძლება იყოს სახელმწიფოც, კოოპერაციულიც, შერეულიც და სხვაგვარიც.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მხედველობაში მაქვს განვითარებული ქვეყნები, არსებობს საექსპორტო-საიმპორტო ბანკების ტიპის სპეციალიზებული საკრედიტო დაწესებულებანი. საინტერესოა ამ თვალსაზრისით ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების გამოცდილება, სადაც სპეციალიზებული საკრედიტო დაწესებულებანი და უნივერსალური კომერციული ბანკები ავსებენ ერთმანეთს საერთაშორისო საბანკო ოპერაციების არსებობის დროს.

ამასთან ასეთი ხასიათის სპეციალიზებული ბანკები, როგორც წესი, მთელ თავიანთ საქმიანობას ახმარენ ექსპორტის სტიმულირებას უფრო შეღავათიანი კრედიტების მიცემის გზით.

ამრიგად, მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სპეციალიზებული ბანკები მაინც საჭიროა. შემთხვევით როდი ვიმოწმებ ნიადაგ ამ გამოცდილებას. საქმე ის არის, რომ განვითარებული ქვეყნების საბანკო სტრუქტურა შეიქმნა მეურნეობრიობის ობიექტური, საბაზრო პირობების ბაზაზე და პრაქტიკა ადასტურებს სწორედ ასეთი საკრედიტო სისტემის საჭიროებას, თუმცა ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში მას ეროვნული თავისებურებების დაღი აზის.

ჩვენ კი, ისევე როგორც წინათ, ვცდილობთ გავუსწროთ მოვლენებს, ვქმნით ორგანიზაციულ ფორმებს, მათ ვუმარჯვებთ ეკონომიკურ მექანიზმს და ამასთან ხშირად ვაკეთებთ უაპელაციო განცხადებებს იმის შესახებ, რა გვინდა და რა არა. ჩემი აზრით კი, ალბათ, საჭიროა შევქმნათ შესაძლებლობა ობიექტურ საფუძველზე იჩინოს თავი მოვლენამ და შემდეგ ჩამოვყალიბოთ მისი ორგანიზაციული სტრუქტურა, და არა პირიქით.

ამიტომ, თუ ვაპირებთ დამოუკიდებელ მეურნეობრიობას, ნამდვილად საბაზრო პირობებზე გადასვლას, მაშ, მოდით საფუძვლად ავიღოთ ის საბანკო სტრუქტურა, რომელიც შეიქმნა ბაზრის პირობებში მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე ქვეყნებში. ფუნქციონირების პროცესში კი თავად ცხოვრება გვიკარნახებს, რა კორექტივები უნდა შევიტანოთ მასში ჩვენი რესპუბლიკის თავისებურებათა გათვალისწინებით. (საქინფორმი).

სოციალური სფერო

მშრომელთა ინტერესების გათვალისწინებით

ქუთაისის საწარმოო გაერთიანება „ელექტრომექანიკური ქარხანა" (გენერალური დირექტორი — ს. მურღულია) დარგის საწარმოთა შორის ერთ-ერთი მოწინავეა. კოლექტივის თავდადებულმა შრომამ არაერთგზის მოიპოვა აღიარება — უკანასკნელ წლებში კარგი სამეურნეო მაჩვენებლებისათვის ოცდაცხრაჯერ დაიმსახურა სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროსა და დარგის პროფკავშირების გარდამავალი დროშა.

საწარმოს ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს სახალხო მოხმარების საგნების წარმოებას, მისი ასორტიმენტის გაფართოებას, ხალხის საჭიროებისათვის მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას. საკმარისია ითქვას, რომ კულტურულ-საყოფაცხოვრებო საგნების წარმოების თავდაპირველი დონე ახლანდელი ხუთწლედის დასაწყისისათვის 90,2 პროცენტით გაიზარდა. თუ 1970 წელს გამოშვებული სახალხო მოხმარების პროდუქციის ღირებულება 32 ათას მანეთს არ აღემატებოდა, 1985 წლის ბოლოსათვის მან 4 მილიონ მანეთს გადააჭარბა, ხელფასის ერთ მანეთზე ნაწარმის წარმოებამ კი 0,64 კაპიკი შეადგინა.

ქარხნის კოლექტივმა, კარგად რომ აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობები, მე-12 ხუთწლედის გეგმის ფორმირებისას, თავისი ინიციატივით კიდევ მილიონი მანეთით გაზარდა სახალხო მოხმარების საგნების წარმოება. ხუთწლედის განვლილ სამ წელიწადში მან წარმატებით გაართვა თავი ინიციატივას — არ ჰქონია შეფერხებები არც დამზადებაში და არც რეალიზაციაში. მიღწევები იმდენად დიდი აქვთ, რომ წლეულს 2.420 ათასი მანეთით მეტი სახალხო მოხმარების საგნების გამოშვება იკისრეს, ვიდრე ხუთწლიანი გეგმით მომავალი, 1990 წელი ითვალისწინებს. ზრდის ტემპი, 1988 წელთან შედარებით, 162 პროცენტს შეადგენს, ხელფასის ერთ მანეთზე კი 1.13 მანეთის ნაწარმს უშვებენ.

განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა სახალხო მოხმარების საგნების ძირითად ნომენკლატურაზე, კერძოდ „ნებ 1/20" და „რიონის" მარკის რთულ საყოფაცხოვრებო ვიბრაციულ ელექტროტუმბოებზე. ეს უკანასკნელი უმაღლესი ხარისხისაა. კოლექტივს მრავლად მოსდის სამადლობელი წერილები, ზოგჯერ შენიშვნებიც, რომლებსაც უთუოდ ითვალისწინებენ მუშაობაში. ხვეწენ ტექნოლოგიურ პროცესებს, აუმჯობესებენ ნამზადის ხარისხს და პროდუქციის წარმოებასაც დღითიდღე ზრდიან.

როგორ და რანაირად მიაღწიეს სახალხო მოხმარების საგნების გამოშვების ასე მკვეთრ ზრდას? მთავარი და განმსაზღვრელი პირობა აღმოჩნდა სამსახურების სპეციალიზაცია. გაერთიანებასთან შეიქმნა სახალხო მოხმარების საგნების წარმოების სპეციალიზებული ქარხანა გელათში, მისი ფილიალები — ეწერსა და ხვანჭკარაში. ამასთან, გაერთიანებაში ჩამოყალიბდა სახალხო მოხმარების საგნების წარმოების განყოფილება, რომელიც კოორდინაციას უწევს ამ სახის პროდუქციის ათვისებას. გაერთიანებას შემოქმედებითი კონტაქტები აქვს მთელ რიგ სპეციალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან. ფართო მოხმარების საგნების წარმოების ზრდას დიდად შეუწყობს ხელს ეკონომიკური დაინტერესება, რომელიც ამ ბოლო დროს გამოკვეთა სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ — წლეულს, და მომავალში საერთოდ, ის მოგება, რომელიც მიღებული იქნება წინა წლის მოგების გადამეტებით, მთლიანად რჩება საწარმოს განკარგულებაში. მასვე უფლება ეძლევა ბრუნვის გადასახადის 30 პროცენტი წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის გამოიყენოს.

გერგილიანობამ კოლექტივის საქმიანობაში კიდევ უკეთესი პერსპექტივა დასახა სახალხო მოხმარების საგნების წარმოების განვითარების მხრივ. გაერთიანებაში უკვე შედგენილია არა მარტო მე-12 ხუთწლედის დამამთავრებელი წლის, არამედ მეცამეტე ხუთწლედისა და 2005 წლამდე პერიოდის პროგრამა. იგი ითვალისწინებს ხალხის მზარდი მოთხოვნების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. მაგალითისათვის ორიოდე ციფრიც უნდა მივაწოდოთ მკითხველს: მარტო მომავალ, 1990 წელს ქარხანამ გადაწყვიტა 11825 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი გამოუშვას. ეს მაჩვენებელი კი 2,9-ჯერ აღემატება 1985 წლის დონეს. ხალხის მოთხოვნილებას ექვემდებარება ქარხნის კოლექტივის გადაწყვეტილებაც — აითვისოს და სერიულად გამოუშვას მთელი რიგი ახალი ნაწარმი, კერძოდ, ახალი ტიპის ტუმბოები, შედუღების აპარატი — ციკლოკონვექტორი, ელექტროგამაცხელებელი, აგრეთვე სხვადასხვა სახეობის სანიტარიულ-ტექნიკური საგნები.

ვაჟა თევდორაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

* * *

სურათზე: ქარხნის სახალხო მოხმარების საქონლის საამქროს ამწყობი ზეინკალი ნათელა ფორჩხიძე, რომელიც ყოველდღიურად საგეგმო 35-ის ნაცვლად 40-ზე მეტ წყლის ელექტროვიბრაციულ ტუმბოს უშვებს.
ოთარ ბერეჩიკიძის ფოტო.

დახმარება ტიუმენიდან

ჯერ კიდევ არ წაშლილა მეხსიერებაში ტრაგედია, რომელმაც ადამიანთა სიცოცხლე შეიწირა და უსახლკაროდ დატოვა მრავალი ოჯახი ხულოს რაიონის სოფელ წაბლანაში. რაიონულმა გაზეთმა „კოლექტიურმა შრომამ" 545 მანეთი მიიღო ტიუმენის ოლქიდან. დავით დეკანაძემ, რომელიც იქ კომკავშირული საგზურით მშენებელ ინჟინრად მუშაობს, თავის ოთხ თანამემამულესთან ერთად სთხოვა რედაქციის კოლექტივს ეს თანხა გადასცეს დაზარალებულთ.

მწვავე სიგნალი

მიზეზებს ბოლო არ უჩანს,

ზღვა კი ისევ ჭუჭყიანდება

ელემენტარული ჭეშმარიტება დავას არ იწვევს, მას ყველა ეთანხმება და ემორჩილება. აჭარაში ასეთ ელემენტარულ ჭეშმარიტებად იყო აღიარებული, რომ ისეთ დიდ ქალაქს, როგორიც ბათუმია, სჭირდება საყოფაცხოვრებო ნაგვის გადამმუშავებელი ქარხანა. ქალაქიდან და ხელვაჩაურის რაიონიდან ყოველდღე გააქვთ დაახლოებით ოთხმოცი მანქანა ნაგავი და მდინარე ჭოროხის ნაპირზე საამისოდ გამოყოფილ ადგილას ყრიან. იქ ნაგვის ნაწილი უნდა დაიწვას, ნაწილი — დაიწნეხოს. სანაგვეზე ყოველდღე კვამლიც მოჩანს და ტრაქტორიც გუგუნებს. მაგრამ, გულახდილად თუ ვიტყვით, არც ერთი სამუშაო სრულდება ნორმალურად და არც მეორე. ნაგავი ორმოებში რომ იმარხებოდეს, რა თქმა უნდა, კარგია მაგრამ ასე არ ხდება. იყრება პირდაპირ მდინარის ნაპირას. როცა ჭოროხი ადიდდება, ან კოკისპირული წვიმა ნიაღვრებს აჩენს, მდინარეს ნაგვის ნარჩენები ზღვაში ჩააქვს, იქიდან კი ქალაქისა და კურორტის პლაჟებს ეფინება. ამას მოსდევს ანტისანიტარია.

ეს თქმულა ტრიბუნებიდან, დაწერილა პრესაში, გამოჰქონდათ დადგენილებები, იცვლებოდა ხელმძღვანელობა, პრობლემა კი გადაუჭრელი რჩებოდა. და აი, როგორც იქნა, 1978 წელს ტექნიკური პროექტის შემუშავებას შეუდგნენ. ეს საქმე 2 წელს გაგრძელდა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ პროექტი 1981 წლის ივნისში დაამტკიცა. ამის შემდეგ სამუშაო ნახაზების შედგენას შეუდგნენ. ამ საქმეს თითქმის 4 წელი დასჭირდა. დრო ოქროდ ფასობსო, უთქვამთ. სამწუხაროდ, ყველა საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაცია როდი იზიარებს ამ ბრძნულ ნათქვამს. არადა, საკითხი მხოლოდ ბათუმის სანაგვის კი არა, შავი ზღვის სისუფთავესა და დაცვას ეხება. ჯერ კიდევ 1976 წელს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება შავი და აზოვის ზღვების დაცვის თაობაზე. გაჭუჭყიანებისაგან შავი ზღვის დაცვის თაობაზე ახლახან იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმაც. საამისოდ მილიონობით მანეთი გამოიყო, ბევრგან კი, სამწუხაროდ, შესაძლებლობის მინიმუმიც არ კეთდება.

მივყვეთ მოვლენების მსვლელობას: როგორც იქნა, დამთავრდა ქარხნის პროექტისა და სამუშაო ნახაზების შედგენა. საწარმო 6.062 ათასი მანეთი ჯდება, აქედან უშუალოდ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის 3.404 ათასი მანეთია გათვალისწინებული. ქარხნის სიმძლავრე პროექტით წელიწადში 120 ათასი ტონა იქნება. ნაგვისგან ქარხანა დაამზადებს სასუქს, რომელიც სოფლის მეურნეობაში გამოიყენება. კაცმა რომ თქვას, მარტო ამისთვის ღირდა მშენებლობის დაჩქარება. მშენებლობა დაეკისრა №5 ტრესტს. გამოიყო ადგილი. გრუნტის წყლების სიჭარბის გამო მდგომარეობამ მოითხოვა ტერიტორიის აწევა. სანამ საამისოდ ნებართვას მიიღებდნენ და ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებას შეიტანდნენ, კარგა ხანი გამოხდა.

თურმე, თბილისს ჰქონია ანალოგიური ქარხანა, რომელსაც მუშაობის პროცესში ხარვეზები აღმოაჩნდა. 1987 წელს საქართველოს სახმშენმა მოითხოვა ბათუმის ქარხნის პროექტის გადაკეთება ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით. ამას მოჰყვა ქარხნის მშენებლობის დაკონსერვება. ქარხანა რამდენიმე რთული ნაგებობისაგან შედგება. დამხმარე ნაგებობების მშენებლობა დამთავრებულია, ძირითადისა — რა მოგახსენოთ. ხარვეზები და პრეტენზიები გრძელდება. 1988 წელს მშენებლებმა პროექტში შენიშვნები შეიტანეს. პროექტის ტექნოლოგიურ ნაწილში შესაბამისი ცვლილებები შეაქვს საკავშირო საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მოსკოვის საპროექტო ინსტიტუტს, ხოლო პროექტის გადაკეთებაზე მუშაობს საქართველოს „სახკომუნმშენპროექტი".

ხარვეზებისა და პროექტში საჭირო ცვლილებების გამო მშენებლობა მეტისმეტად გაჭიანურდა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ საბოლოო პროექტის სამუშაო ნახაზების ნაწილი მშენებლებს ჯერაც არა აქვთ.

რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც საქმეს შეუდგნენ? — 11 წელი. პირველი გეგმით ქარხანა 1986 წელს უნდა გადაცემულიყო საექსპლოატაციოდ, ბოლო გადაწყვეტილებით — 1991 წელს. მაგრამ დამთავრდება კი ამ დროში? ძნელი სათქმელია. ერთი რამ აშკარაა. ასეთი აუცილებელი და განსაკუთრებული ობიექტი ბათუმში არ შენდება. ეკოლოგიური თვალსაზრისით მას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს...

და კიდევ ერთი საკითხი: სპეციალისტები ამბობენ, რომ ქარხანა ტექნოლოგიურად რთული საწარმოა და მისი ექსპლოატაციისათვის მაღალკვალიფიციური კადრებია საჭირო. ასეთ მუშაკებს, თურმე, ლენინგრადში ამზადებენ. თავის მხრივ, კადრების მომზადებაც დროს მოითხოვს. არადა, სამწუხაროდ, ჯერ შტატების საკითხიც არ არის გარკვეული. შესაძლოა ისეც მოხდეს, ქარხნის მშენებლობა დამთავრდეს, მისი ექსპლოატაციისათვის სპეციალისტები კი მერე გახდეს საძებარი და მოსამზადებელი. ამ საქმეს მაინც ნუ გადავდებთ, ამასაც ხომ პროექტები და ნახაზები არ სჭირდება!

მიხეილ გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

პრობლემა

გვჭირდება თუ არა წყალსაცავები?

საქართველოში დღეისათვის 2780 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულია (სახნავი — — 670 ათასი ჰექტარი, მრავალწლიანი ნარგავები — 270 ათასი ჰექტარი, სათიბი და საძოვარი — 1840 ათასი ჰექტარი). ეს მთელი ტერიტორიის 40 პროცენტია და ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენს 0,52 ჰექტარს. ამ მაჩვენებლით კავშირში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე ვიმყოფებით. ასეთ პირობებში, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სავარგულის რაციონალურ და მაღალეფექტიან გამოყენებას.

მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, რესპუბლიკა გამოირჩევა კლიმატური პირობების მრავალფეროვნებით. თუ დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელია მაღალტენიანი სუბტროპიკული კლიმატი, აღმოსავლეთ საქართველოში ცხელი და მშრალი კონტინენტალური კლიმატია. ამან ისტორიულად განაპირობა სარწყავი მიწათმოქმედების განვითარება. ამ რეგიონების ბუნებრივი პირობების სხვადასხვაობა გამოწვეულია ნალექების მკვეთრი სხვაობით, რომელიც დასავლეთში შეადგენს 1000-2500 მილიმეტრს, აღმოსავლეთში კი 400-800 მილიმეტრს. ამავე დროს წლის განმავლობაში ნალექები არათანაბრადაა განაწილებული. სავეგეტაციო პერიოდში ნალექების რაოდენობა მცირეა და ნიადაგის ტენის დეფიციტის პირობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქტიულობა 30-50 პროცენტამდე მცირდება. მკაცრი გვალვებისას კი, რომელიც ამ ზონაში ყოველ 4-5 წელიწადში მეორდება, არა მარტო მთლიანად ნადგურდება ერთწლიანი კულტურები, არამედ ფიზიოლოგიურად კნინდება მრავალწლიანი კულტურებიც, რაც 2-3 წლის მანძილზე მკვეთრ გავლენას ახდენს შემდგომ მოსავლიანობაზე.

ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით საქართველოს მდინარეების საშუალო წლიური ჯამური ჩამონადენი შეადგენს 62,7 კუბურ კილომეტრს, საიდანაც დასავლეთ საქართველოზე მოდის 48,8, აღმოსავლეთზე კი 14,4 კუბური კილომეტრი. ეს უკანასკნელი შემდეგნაირად ფორმირდება:

თურქეთიდან შემოდის 2,4, საქართველოს ტერიტორიაზე კი ფორმირდება 12 კუბური კილომეტრი, რომლიდანაც თერგისა და პირიქითა ალაზნის მეშვეობით ჩრდილოეთში გაედინება 2,2 კუბური კილომეტრი. ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს წყლის რესურსები მტკვრის აუზში, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ფორმირდება, შეადგენს 9,8 კუბურ კილომეტრს (მტკვარი—5, ალაზანი — 2,4, იორი — 0,5, ხრამი — 1,9 კუბური კილომეტრი).

იორ-ალაზნის აუზებში არსებულ მდინარეთა ჩამონადენი ზაფხულის თვეებში ვერ აკმაყოფილებს წყალზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მოთხოვნილებებს, რის გამოც იქმნება წყლის მნიშვნელოვანი დეფიციტი. დღეისათვის იგი 170 მილიონი კუბური მეტრია, 1995 წლისთვის გაიზრდება 290, ხოლო 2000 წლისათვის 400 მილიონ კუბურ მეტრამდე.

ამავე აუზებში სარწყავი მიწების ფონდი 445 ათასი ჰექტარია, საიდანაც დღეისათვის ირწყვება 165,6 ათასი ჰექტარი (37 პროცენტი), 1995 წლისათვის უნდა მოირწყას 190 ათას ჰექტარამდე (43 პროცენტი), ხოლო 2000 წლისათვის — 210 ათას ჰექტარამდე (47 პროცენტი).

ამჟამად მთლიანად მტკვრის აუზში დარეგულირებულია 20,4 კუბური კილომეტრი წყალი, მათ შორის საქართველოში 1,67, აზერბაიჯანში 16, ხოლო სომხეთში — 2,73 კუბური კილომეტრი. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებში ამჟამადაც ინტენსიურად მიმდინარეობს ახალი წყალსაცავების მშენებლობა.

მტკვრის აუზის წყლის რესურსების განაწილების საკითხი ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკას შორის ამჟამად მწვავედ დგას, და შეიძლება ითქვას, კომფლიქტურიც არის. უახლოეს პერიოდში იგი დაწვრილებით განხილვას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვს.

აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში არ შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცეს იმ გარემოებას, რომ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიის ეს ნაწილი ძირითად მდინარეთა არტერიების ტრანზიტულ ზონაშია განლაგებული. და მათი დაურეგულირებელი ჩამონადენი ამ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გაედინება. ეს რასაკვირველია, გამორიცხავს მისი გამოყენების რაიმე შესაძლებლობას. ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის მტკვრის აუზში შემუშავებული წყლის რესურსების გამოყენების სქემის დამტკიცების გაჭიანურების და საბოლოო გადაწყვეტილების მიუღებლობის მიუხედავად, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ გაწეული დიდი მუშაობის შედეგად საკავშირო ორგანოებში შეთანხმებულია ილტოს და ლაკბეს წყალსაცავების დაპროექტებისა და მშენებლობის უფლება.

ილტოს წყალსაცავი არეგულირებს მდინარე ილტოს ჩამონადენს და მიზნად ისახავს 62 ათას ჰექტარზე ალაზნის ველის სარწყავი სისტემების წყალუზრუნველყოფის ამაღლებას. გარდა ამისა, ალაზნის ჩამონადენთან ერთად იგი საშუალებას იძლევა მდინარე ლაკბეს ხეობაში შეიქმნას დამატებითი მარეგულირებელი წყალსაცავი, რომელიც გაასარწყავებს გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს რაიონების 42 ათას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. აღნიშნული წყალსაცავების მშენებლობა და მათი მეშვეობით გასარწყავებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები საშუალებას მოგვცემს დამატებით ვაწარმოოთ 190 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ამჟამად, საყოველთაო ურბანიზაციის პირობებში, მტკნარი წყლის პრობლემა გლობალურ მასშტაბებს იძენს. ამ ვითარებას ვერც საქართველო აცდა. მტკვრის აუზის მდინარეთა დაურეგულირებელი ბუნებრივი ჩამონადენი უკვე ველარ აკმაყოფილებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს.

ახლა თვალი გადავავლოთ ზოგიერთ მონაცემს, რომლებიც წარმოაჩენენ, თუ როგორ წყდება ეს საკითხი მსოფლიოსა და, კერძოდ, ევროპის ქვეყნებში.

მსოფლიოში ამჟამად ყოველწლიურად მწყობრში შედის 300-500 ახალი წყალსაცავი. ექსპერტთა შეფასებით, უახლოეს 30-50 წლის მანძილზე ვარაუდობენ, რომ მდინარეთა ჩამონადენის ორი მესამედი წყალსაცავებში დაარეგულირონ. 1980 წლის მონაცემებით ევროპის პატარა სახელმწიფოებში ამ მიმართულებით შემდეგი მდგომარეობაა: შვეციაში 21 კუბური კილომეტრი საერთო მოცულობის 30 წყალსაცავია, შვეიცარიაში შესაბამისად 4,05 და 31 (ტბების ჩათვლით); ჩეხოსლოვაკიაში — 4,47 და 100, ფინეთში — 16,75 და 50, ნორვეგიაში — 23,54 და 100, საბერძნეთში — 10,76 და 12, ალბანეთში — 3,62 და 21 და სხვ. წყალსაცავების წყლის სარკის საერთო ფართობი შვეიცარიაში 130 კვადრატული კილომეტრია, ჩეხოსლოვაკიაში — 350, ფინეთში — 1170, საბერძნეთში — 235, ალბანეთში —160.

საქართველოს მაგალითით ეს მაჩვენებლები ასეთია: წყალსაცავების რაოდენობა — 32, საერთო მოცულობა — 3,17 კუბური კილომეტრი, წყლის სარკის საერთო ფართობი — 162 კვადრატული კილომეტრი.

ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში წყალსაცავებით დატბორილი ფართობი შეადგენს მთელი ტერიტორიის 0,5, საქართველოში კი 0,22 პროცენტს.

ცხადია, რომ ილტოს და ლაკბეს წყალსაცავი გარკვეულ გავლენას მოახდენს მიმდებარე ტერიტორიის მიკროკლიმატზე. დადასტურებულია, რომ მშრალ კონტინენტურ კლიმატურ ზონაში წყალსაცავების გავლენა დადებითად ფასდება, რაც ძირითადად ჰაერის ტენიანობის ზრდით გამოიხატება. ამდენად, კლიმატი უფრო რბილი და ზომიერი ხდება. განვიხილავთ რა წყალსაცავის გავლენას კლიმატზე, არ შეიძლება არ დაისვას საკითხი კახეთის ზონაში სეტყვის წარმომშობი პროცესების შესაძლო გაძლიერების შესახებ.

როგორც ცნობილია, სეტყვის წარმოშობა კახეთის ზონაში განპირობებულია მრავალმასშტაბიანი ატმოსფერული პროცესებით და მასზე ლაკბეს წყალსაცავის ზედაპირიდან აორთქლებულმა წყალმა არ უნდა მოახდინოს რამდენადმე მნიშვნელოვანი გავლენა (აორთქლება წლის თბილ პერიოდში დღე-ღამეში 14-დან 41 ათას კუბურ მეტრამდე მერყეობს).

აღნიშნულ საკითხზე არგუმენტირებული დასკვნის მისაღებად საჭირო იქნება სპეციალიზებული სამეცნიერო დაწესებულების მიერ ჩატარებული გაანგარიშებანი და პროგნოზები.

ზოგიერთ პუბლიკაციაში საერთოდ სასარგებლოდ არ მიიჩნევენ ვენახების რწყვას, ვინაიდან ვარაუდობენ, რომ ამით უარესდება პროდუქციის ხარისხი და მცირდება ყურძნის შაქრიანობა.

მაგრამ როგორც საწარმოო პირობებში ცდებმა დაადგინა, პროდუქციის ხარისხი არ ქვეითდება, თუ დაიცავენ რწყვის რეკომენდებულ ნორმებს, ანუ როდესაც ნიადაგის ტენი არ აღემატება ნიადაგის მინდვრის ზღვრული წყალტევადობის 75-80 პროცენტს. ამ დროს შაქარი მაქსიმალურად გროვდება ნაყოფში (0,4-0,5 პროცენტი დღე-ღამეში), როგორც წესი, რწყვა უნდა შეწყდეს რთველის დაწყებამდე 20-25 დღით ადრე იმ ვარაუდით, რომ ნიადაგის ტენი კრეფის მომენტში არ აღემატებოდეს ნიადაგის მინდვრის ზღვრული წყალტევადობის 70-65 პროცენტს. ამდენად ეს სამუშაო რწყვის ტექნოლოგიის მაღალ კულტურას მოითხოვს.

და ბოლოს, თუ გულდასმით გავაანალიზებთ წყალსაცავის აგებასთან დაკავშირებულ დადებით და უარყოფით არგუმენტებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ დადებითს უდავოდ შესწევს უნარი დაჩრდილოს ნეგატიური მოვლენებით მიყენებული სავარაუდო ზიანი. ანალიზისას უნდა გაირკვეს, რომელი უფრო დაგვაზარალებს — წყალსაცავში წყლის დაგროვება, მასთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენები და მათ აღმოსაფხვრელად ჩასატარებელი ღონისძიებანი, თუ წყლის სამუდამო დაკარგვა. წყალსაცავების უკმარისობის გამო ჩვენგან დაკარგული წყლის დიდი ნაწილი საიმედოდ გროვდება ჩვენს მეზობელ რესპუბლიკაში, მათ მიერ აშენებულ წყალსაცავებში.

ყურადსაღებია ისიც, რომ მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში გაფაციცებით ეძებენ წყალსაცავების მშენებლობის ადგილსა და საშუალებებს. გარდა იმისა, რომ მათ სახალხო-სამეურნეო დანიშნულებით იყენებენ, მათზე აწყობენ ნაირგვარ გასართობებს, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს. უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ საგრძნობლად ჩამოვრჩით ამ საქმეში არა მარტო მოწინავე საზღვარგარეთის ქვეყნებს, არამედ მოძმე რესპუბლიკებსაც.

ამრიგად, წყალსაცავების მოწყობა ჩვენი ეკონომიკის სრულყოფის, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ უმთავრეს პირობად უნდა ჩაითვალოს. ამ საკითხზე დღეს თუ არ ვიზრუნეთ, ხვალ გვიან იქნება.

ილტოს და ლაკბეს წყალსაცავების პროექტებში ბუნების დაცვის საკითხები შესწავლილი და დამუშავებულია დღემდე არსებული რეკომენდაციების საფუძველზე, შეთანხმებულია ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან, ექსპერტირებული და დამტკიცებულია არსებული წესის შესაბამისად.

საქართველოს სეისმური დარაიონების მოსალოდნელ შეცვლასთან დაკავშირებით და ეკოლოგიური საკითხებისადმი საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოთხოვნების გაზრდის გათვალისწინებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებამდე ილტოსა და ლაკბეს წყალსაცავების კაშხალების მშენებლობის შეჩერების თაობაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა რესპუბლიკის ბუნების დაცვის და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს მიმდინარე წლის პირველ დეკემბრამდე ჩაატაროს ეკოლოგიური ექსპერტიზა. მანამდე კი სამუშაოები გაგრძელდება მხოლოდ სპეციალური კომისიის მიერ შემუშავებული ნუსხით გათვალისწინებულ ობიექტებზე საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მეთვალყურეობით.

ანზორ მუსერიძე,
საქართველოს სსრ წყალსამეურნეო მშენებლობათა „საქწყალმშენის" სპეციალიზებული სამშენებლო გაერთიანების უფროსი.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების წესდება

მიმდინარე წლის 29 აპრილს რესპუბლიკის დემოგრაფიული საზოგადოების დამფუძნებელ კონფერენციაზე დამტკიცდა „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების წესდება“.

მკითხველს ვთავაზობთ წესდების სრულ ტექსტს.

I. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება თვითდაფინანსებასა და თვითმმართველობაზე დაფუძნებული მასობრივი ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს დემოგრაფიული პრობლემების დაძლევას. უპირველეს ყოვლისა და ძირითადად იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ რეგიონებს, სადაც ერთობ მწვავე დემოგრაფიული ვითარებაა, ზრუნავს განახლებული და აღდგენილი სოფლების სოციალურ-ეკონომიკური აღორძინებისა და განვითარებისათვის.

საზოგადოება თავის საქმიანობას წარმართავს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპზე სახელმწიფო ორგანოებთან, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირით სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ხელმძღვანელობს ამ წესდების მოთხოვნებით.

2. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ძირითადი მიზნებია:

ა) ხელი შეუწყოს მოსახლეობის გამრავლებას. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ რაიონებსა და რეგიონებს, რომელთაც ახასიათებს მცირე ბუნებრივი მატება და ინტენსიური მიგრაციული პროცესები;

ბ) გაწიოს პროპაგანდა საზოგადოების წევრებსა და მოსახლეობას შორის ამ მიმართულებით, შეისწავლოს ბავშვების სასურველი რაოდენობის ყოლის ხელშემშლელი კონკრეტული მიზეზები ცალკეული რაიონებისა და რეგიონების მიხედვით და შეიმუშაოს რეკომენდაციები ამ მიზეზების შესასუსტებლად და აღმოსაფხვრელად;

გ) გამოიძიოს ფორმები და მეთოდები მოსახლეობაში მესამე და მომდევნო ბავშვის ყოლის მოთხოვნილების ფორმირებისათვის და იზრუნოს როგორც აღნიშნული მოთხოვნილების, ასევე მოსახლეობაში უკვე არსებული ბავშვების ყოლის მოთხოვნილების რეალიზაციისათვის;

დ) ხელი შეუწყოს განახლებული და აღდგენილი სოფლების მოსახლეობის ადგილზე დამკვიდრებას;

ე) შეისწავლოს მიგრაციის გამომწვევი მიზეზები ცალკეულ რაიონებსა და რეგიონებში და განახორციელოს პრაქტიკული ღონისძიებანი ამ მოვლენის უარყოფითი შედეგების შესანელებლად.

3. ამ მიზნების მისაღწევად საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება

ა) აქტიურად იზიდავს თავის რიგებში მოსახლეობის ფართო მასებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საწარმოებს, შემოქმედებით კავშირებს და სხვა ორგანიზაციებს;

ბ) საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და საცხოვრებელ ადგილებში საზოგადოებრივ საწყისებზე ქმნის დემოგრაფიული საზოგადოების ადგილობრივ საბჭოებს და აქტიურად მონაწილეობს მათ საქმიანობაში;

გ) დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად იწყებს სისტემატურ გეგმაზომიერ მუშაობას სამ და მეტშვილიანი ოჯახების გასამრავლებლად, ამ მიზნით იყენებს პროპაგანდის სხვადასხვა ფორმებს ბეჭდვითი სიტყვის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით;

დ) დადგენილი წესის შესაბამისად ეწევა საგამომცემლო საქმიანობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემს სარეკლამო მასალებს, ლიტერატურას და სხვ. გამოსცემს ყოველკვირეულ გაზეთს;

ე) დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად აწყობს დემოგრაფიული პრობლემებისადმი მიძღვნილ კონფერენციებს, საღამოებს, შეხვედრებს, საუბრებს, ლექციებსა და სხვა ღონისძიებებს;

ვ) საზოგადოების საქმიანობის განვითარებისათვის სახსრების გამოსაძებნად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აქვს დამხმარე მეურნეობების, საწარმოების, კოოპერატივების შექმნისა და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის უფლება;

ზ) აქვს საქველმოქმედო ღონისძიებათა მოწყობის უფლება;

თ) ამყარებს კავშირურთიერთობას მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

4. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება, მისი რეგიონული, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით, აქვთ თავიანთი კუთხოვანი შტამპი და მრგვალი ბეჭედი.

5. დემოგრაფიულ საზოგადოებას აქვს დამოუკიდებელი ანგარიში.

6. საზოგადოებას აქვს ალამი, ემბლემა, ვიმპელი, საზოგადოების წევრებისათვის — სამკერდე ნიშანი.

7. დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობას უფლება აქვს შეიმუშაოს და დაამტკიცოს საწევრო წიგნაკის ნიმუში, აგრეთვე შეუკვეთოს საწევრო მარკები და მომარაგოს ამ წიგნაკებითა და მარკებით პირველადი ორგანიზაციები.

II. საზოგადოების წევრები, მათი უფლებები და მოვალეობანი

1. საზოგადოების წევრები შეიძლება იყვნენ სსრ კავშირის მოქალაქენი — მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურენი, ინჟინერ-ტექნიკური, მეცნიერული და შემოქმედებითი მუშაკები, პროფტექსასწავლებლების მოსწავლეები და სტუდენტები, პენსიონერები, აგრეთვე საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, შემოქმედებითი კავშირები (კოლექტიური წევრები), რომლებიც ეთანხმებიან საზოგადოების წესდებას და აქტიურად მონაწილეობენ მისი ერთ-ერთი პირველადი ორგანიზაციის მუშაობაში.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების წევრები შეიძლება იყვნენ საზღვარგარეთელი მოქალაქენი.

შენიშვნა: საზოგადოების წევრებად მოქალაქენი მიიღებიან 16 წლის ასაკიდან.

2. მოქალაქეებს საზოგადოების წევრებად ინდივიდუალური წესით იღებენ პირველადი ორგანიზაციები. პირველადი ორგანიზაცია იქმნება, თუ ჰყავს სულ ცოტა 5 წევრი.

3. საზოგადოების წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს და არჩეულ იქნეს საზოგადოების კონფერენციებსა და ყრილობებზე, აგრეთვე საზოგადოების ხელმძღვანელ და სარევიზიო ორგანოებში, მონაწილეობა მიიღოს გადამწყვეტი ხმის უფლებით საზოგადოების წევრთა საერთო კრებებზე გამოტანილ საკითხთა განხილვაში;

ბ) მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მიერ მოწყობილ ღონისძიებებში, საღამოებში, გამოფენებში, კონკურსებში და სხვა;

გ) შეიტანოს წინადადებები საზოგადოების ყველა ორგანოში საზოგადოების მუშაობის ყველა საკითხზე.

4. საზოგადოების წევრი მოვალეა:

ა) შეასრულოს ამ წესდების მოთხოვნები, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ერთ-ერთი პირველადი ორგანიზაციის მუშაობაში, დროულად გადაიხადოს საწევრო შესატანები;

ბ) გაწიოს მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა საზოგადოების როლის, მნიშვნელობისა და ამოცანების შესახებ და ხელი შეუწყოს საზოგადოების რიგებში ახალი წევრების მიღებას;

გ) პირადი წვლილი შეიტანოს საზოგადოების ამოცანების გადაჭრაში.

საზოგადოების წევრად მიღებულ მოქალაქეებს ეძლევათ ერთიანი ნიმუშის საწევრო ბილეთები.

საზოგადოების აქტიური წევრები შეიძლება წარდგენილ იქნენ მთავრობის ჯილდოზე.

საზოგადოების წესდების მოთხოვნათა დარღვევისათვის წევრთა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი ზემოქმედების ფორმები, მათ შორის საზოგადოების წევრთა შემადგენლობიდან გარიცხვა.

საზოგადოების წევრთა შემადგენლობიდან პიროვნების გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის საერთო კრება ხმის უბრალო უმრავლესობით (კრებას უნდა ესწრებოდეს წევრების არანაკლებ ორი მესამედისა). ზემოქმედების მიზნით მიღებული ზომების და საზოგადოების წევრთა შემადგენლობიდან პიროვნების გარიცხვა, თუ მიჩნეული იქნება უსაფუძვლოდ, შეიძლება გასაჩივრდეს საზოგადოების ზემდგომ ორგანიზაციებში, მათ შორის საზოგადოების ყრილობაზე.

III. საზოგადოების სტრუქტურა და მისი ხელმძღვანელი ორგანოები

1. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ორგანიზაციები იქმნება რესპუბლიკის ქალაქებში, რაიონებში, დაბებში, სოფლებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში და მოქმედებენ ამ წესდების საფუძველზე.

2. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების რეგიონული კომიტეტები იქმნება რაიონული და პირველადი ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაციისთვის.

3. საზოგადოების მიზნობრივი კომიტეტები ემხარებიან და აკონტროლებენ რეგიონულ კომიტეტებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

4. დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობის, ცენტრალური საბჭოს და ცენტრალური სარევიზიო კომისიის, რეგიონული და მიზნობრივი კომიტეტების, საზოგადოების რაიონული, საქალაქო, სადაბო და პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოებისა და სარევიზიო კომისიების არჩევნები ეწყობა ღია კენჭისყრით.

საზოგადოების ყრილობები, კონფერენციები და კრებები გადაწყვეტილებებს იღებენ ხმის უბრალო უმრავლესობით.

IV. საზოგადოების ყრილობა

1. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საზოგადოების ყრილობა, რომელსაც ცენტრალური საბჭო იწვევს, როგორც წესი, 5 წელიწადში ერთხელ.

რიგგარეშე ყრილობა შეიძლება მოწვეულ იქნეს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გადაწყვეტილებით ან საზოგადოების წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით.

ყრილობის მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ განცხადება ქვეყნდება არა უგვიანეს ერთი თვისა ყრილობის გახსნამდე.

ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმასა და დელეგატთა არჩევის წესს განსაზღვრავს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გამგეობა.

საზოგადოების ყრილობა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება არჩეულ დელეგატთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ორი მესამედი.

2. საზოგადოების ყრილობა:

ა) ისმენს და ამტკიცებს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს და ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენებებსა და ანგარიშგებებს და განსაზღვრავს მათს მორიგ ამოცანებს;

ბ) ცვლის და ასწორებს საზოგადოების წესდებას;

გ) ირჩევს ცენტრალურ საბჭოსა და ცენტრალურ სარევიზიო კომისიას. განსაზღვრავს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს და ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრთა რაოდენობას;

დ) იხილავს და წყვეტს საზოგადოების საქმიანობის სხვა საკითხებს;

ე) საზოგადოების ყრილობებს შორის პერიოდში მისი უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა დემოგრაფიული საზოგადოების ცენტრალური საბჭო, რომელსაც ირჩევენ 5 წლის ვადით.

საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმებს იწვევს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გამგეობა წელიწადში ორჯერ მაინც.

საზოგადოების ცენტრალური საბჭოს რიგგარეშე პლენუმების მოწვევა ხდება ცენტრალური საბჭოს გამგეობის გადაწყვეტილებით ან ცენტრალური საბჭოს წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით.

3. პლენუმებს შორის პერიოდში დემოგრაფიული საზოგადოების ხელმძღვანელობისათვის ცენტრალური საბჭო ირჩევს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გამგეობას, რომლის შემადგენლობაში შედიან გამგეობის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პასუხისმგებელი მდივანი, რეგიონული და მიზნობრივი კომიტეტების თავმჯდომარეები და გამგეობის წევრები ცენტრალური საბჭოს მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

ცენტრალური საბჭო იხილავს და ამტკიცებს ცენტრალური საბჭოს გამგეობის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშგებებსა და გეგმებს და წყვეტს საზოგადოების სხვა საკითხებს.

4. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გამგეობა:

ა) ხელმძღვანელობს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს საქმიანობას პლენუმებს შორის პერიოდში;

ბ) შეიმუშავებს და ამტკიცებს სამუშაო გეგმებს, საზოგადოების ცენტრალური აპარატისა და ცენტრალური საბჭოსადმი დაქვემდებარებული საბჭოების სტრუქტურასა და მუშაკთა რაოდენობას. განსაზღვრავს საზოგადოების ბიუჯეტსა და ხარჯთაღრიცხვებს და თვალყურს ადევნებს მათს შესრულებას;

გ) იწვევს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმებს, ამზადებს მოხსენებებს, ანგარიშგებებს და სხვა მასალებს საზოგადოების ყრილობებისათვის;

დ) იხილავს და ამტკიცებს საზოგადოების საქალაქო და რაიონული საბჭოების, აგრეთვე სამეურნეოანგარიშიანი საწარმოებისა და დამხმარე მეურნეობების ანგარიშგებებს და ხარჯთაღრიცხვებს;

ე) ქმნის ფულად ფონდს და განსაზღვრავს მისი გამოყენების წესს;

ვ) ქმნის საპრემიო ფონდს საზოგადოების შტატიანი მუშაკებისა და აქტივისტების დასაჯილდოებლად, აგრეთვე მატერიალური დახმარების ფონდს საზოგადოების მუშაკებისათვის.

აღნიშნული ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ადგენს ცენტრალური საბჭო;

ზ) ამტკიცებს საზოგადოების კრებსითი ბიუჯეტს, საბუღალტრო ანგარიშგებებს, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბალანსს, საზოგადოების საბჭოების ანგარიშგებებს, კონტროლს უწევს დამტკიცებული გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შესრულებას, განსაზღვრავს ფულადი შემოსავლის გამოყენების წესს;

თ) განაგებს საზოგადოების საქმეებს, ქონებასა და სახსრებს და ახორციელებს საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის უფლებებს, გამოსცემს დადგენილი წესით სააგიტაციო თვალსაჩინოებებს;

ი) ამტკიცებს საზოგადოების სტრუქტურას, საშტატო განრიგებს თავის საქვეუწყებო დაწესებულებებში, საქალაქო და რაიონულ საბჭოებში თანამდებობრივი ხარჯების ფონდების ფარგლებში;

კ) ამტკიცებს დადგენილი წესით საზოგადოების ბეჭდების, შტამპების, საწევრო ბილეთების, ემბლემის, საწევრო მარკებისა და სხვა ნიმუშებს.

5. დემოგრაფიული საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გამგეობის სხდომებს შორის პერიოდში საზოგადოების საქმიანობას ხელმძღვანელობს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გამგეობის თავმჯდომარე.

6. დემოგრაფიული საზოგადოების სახელით ყველა მიმოთებას, ხელშეკრულებას, ვალდებულებას და დავალებას ხელს აწერენ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გამგეობის თავმჯდომარე (ან მოადგილე) და პასუხისმგებელი მდივანი.

თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს უფლება აქვთ გამოვიდნენ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს და გამგეობის სახელით სახელმწიფო ორგანოებში, დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

V. საზოგადოების სარევიზიო კომისიები

1. სარევიზიო კომისიებს ირჩევენ დემოგრაფიული საზოგადოების ყრილობა, საზოგადოების საქალაქო და რაიონული კონფერენციები და პირველადი ორგანიზაციები ღია კენჭისყრით იმ პირთაგან, რომლებიც არ შედიან საზოგადოების საბჭოს შემადგენლობაში და არ მუშაობენ შესაბამისი საბჭოს აპარატში.

სარევიზიო კომისიის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს ყრილობა, კონფერენცია, პირველადი ორგანიზაციის საერთო კრება.

შენიშვნა: პირველადს ორგანიზაციებში, სადაც 50-ზე ნაკლები წევრია, ირჩევენ რევიზორს.

2. სარევიზიო კომისია ღია კენჭისყრით ირჩევს თავის შემადგენლობიდან თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს.

3. სარევიზიო კომისია და რევიზორი ანგარიშს აბარებენ საზოგადოების ყრილობას, კონფერენციას, პირველადი ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებას, კუთვნილებისამებრ, და საზოგადოების ზემდგომ ორგანოს.

4. სარევიზიო კომისიის წევრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სათათბირო ხმის უფლებით შესაბამისი საბჭოს თათბირებში, პლენუმებში და გამგეობის სხდომებში.

5. სარევიზიო კომისიის სხდომების მოწვევა ხდება საჭიროების კვალობაზე.

VI. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების დამხმარე მეურნეობები და საწარმოები

1. დემოგრაფიულ საზოგადოებას თავისი საქმიანობისათვის სახსრების გამოსაძებნად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აქვს დამხმარე მეურნეობის, საწარმოების და კოოპერატივების შექმნის უფლება.

2. დამხმარე მეურნეობებიდან და საწარმოებიდან მიღებული შემოსავალი მთლიანად საზოგადოების მიზნებს ხმარდება.

3. საზოგადოების დამხმარე მეურნეობებისა და საწარმოების შენობები, ნაკვეთები, მატერიალური ფასეულობანი საზოგადოების საკუთრებაა.

VII. საზოგადოების ფულადი სახსრები

1. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ფულადი სახსრებია:

ა) საზოგადოების წევრთა შემოსასვლელი და ყოველთვიური საწევრო შენატანები;

ბ) დამხმარე მეურნეობებისა და საწარმოების შემოსავალი;

გ) სარეკლამო და საგამომცემლო საქმიანობის შემოსავალი;

დ) საქველმოქმედო ღონისძიებათა შემოსავალი;

ე) ნებაყოფლობითი შემოწირულებანი და სხვა შემოსავალი.

2. მთელი შემოსასვლელი და საწევრო შენატანები ჩაირიცხება შესაბამისი საბჭოების მიმდინარე ანგარიშებში.

3. საზოგადოების ყველა სხვა შემოსავალი ჩაირიცხება ცენტრალური საბჭოს საანგარიშსწორებო ანგარიშზე.

4. საზოგადოების რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების საბჭოები მათ ანგარიშზე შემოსული სახსრების ნაწილს გადაურიცხავენ საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს იმ ოდენობით და იმ ვადაში, რომელსაც დააწესებს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გამგეობა.

5. საზოგადოების ადგილობრივი საბჭოები მთელ ხარჯებს ეწევიან საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვის ზუსტი შესაბამისობით, მათ მიერ შემოსავლის სახით მიღებული სახსრებიდან.

6. ჭარბი შემოსავლის შედეგად მიღებული სახსრები საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გამგეობის გადაწყვეტილებით გამოიყენება:

ა) მრავალშვილიანობის წასახალისებლად მძიმე დემოგრაფიული ვითარებისა და ინტენსიური მიგრაციული პროცესების რაიონებსა და რეგიონებში;

ბ) ახალგაზრდა ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად, მათთვის ბინების შესასყიდად და ასაშენებლად სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე;

გ) განახლებული და აღდგენილი სოფლების მცხოვრებთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) კაპიტალური დაბანდებისათვის და საჭირო ქონების შესაძენად;

ე) კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საორგანიზაციო-მასობრივი და სხვა ღონისძიებებისათვის;

ვ) საზოგადოების მუშაკთა და ცალკეულ პირთა პრემირებისათვის;

ზ) შტატიანი მუშაკებისა და აქტივისტებისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად.

7. საპრემიო ფონდისა და მატერიალური დახმარების ფონდის შექმნისა და გამოყენების წესის დებულებას იხილავს და ამტკიცებს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გამგეობა.

8. საზოგადოების წლიური ანგარიშგების განხილვისა და დამტკიცების შემდეგ ცენტრალური საბჭოს გამგეობას უფლება აქვს თავის შეხედულებისამებრ ფულადი სახსრების ნაშთები წლის დამლევისათვის გადაანაწილოს.

9. საზოგადოების მთელი ფულადი სახსრები ინახება მიმდინარე ანგარიშებზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის, სსრ კავშირის მშენბანკის ადგილობრივ განყოფილებებში ან შემნახველ სალაროებში.

VIII. საზოგადოების ლიკვიდაციის წესი

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება წყვეტს თავის საქმიანობას:

ა) საზოგადოების ყრილობის გადაწყვეტილებით;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

უცხოეთში

საქდესი იუწყება.
29 აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

● პოლონეთი

ინტენსიური კონსულტაციები

ვარშავა. პოლონეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტ. მაზოვეცკი განაგრძობს ინტენსიურ კონსულტაციებს ქვეყნის ახალი მთავრობის შექმნის მიზნით. ამასთან ითვალისწინებს, რომ რაც შეიძლება მალე შეიქმნას ფართო კოალიციის კაბინეტი გადაუდებელი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად.

სამთავრობო პროგრამის შემუშავებაში მომავალ მთავრობასთან პარლამენტის თანამშრომლობის პრობლემებს მიეძღვნა ტ. მაზოვეცკის შეხვედრა სამოქალაქო საპარლამენტო კლუბის პრეზიდიუმთან, რომელშიც შედიან სეიმის დეპუტატები და „სოლიდარობის“ სიის მიხედვით არჩეული სენატორები. როგორც შეხვედრის შემდეგ სამოქალაქო საპარლამენტო კლუბის თავმჯდომარე ბ. გერემეკმა განაცხადა, საუბარი გაიმართა მთავრობის შემადგენლობაზე, მაგრამ მთავარი მაინც იყო მომავალი კაბინეტის გრძელვადიანი და მოკლევადიანი პროგრამების განხილვა, რომლებიც გაამართლებენ მოსახლეობის მოლოდინს. ეს უნდა იყოს მთავარი კრიტერიუმი მინისტრების პოსტებზე კანდიდატების შერჩევისას.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ შეხვედრაზე განაცხადა, რომ მის მიერ წინასწარ დათქმული მთავრობის შედგენის ვადა 31 აგვისტო არარეალური აღმოჩნდა. ახალი კაბინეტის შექმნა და სეიმის დასამტკიცებლად მისი წარდგენა, როგორც ჩანს, შესაძლებელი იქნება სექტემბრის პირველ დეკადაში.

⊙ ნიკარაგუა

ამნისტიის იმედით

მანაგუა. 400-ზე მეტმა კონტრრევოლუციონერმა დატოვა თავისი ბანაკები ჰონდურასის ტერიტორიაზე სამშობლოში დაბრუნებისა და მთავრობის ამნისტიით სარგებლობის იმედით.

გაზეთ „ბარიკადას“ კორესპონდენტთან საუბარში ერთმა მათგანმა, ხოსე ოსორიომ განაცხადა, რომ ცენტრალური ამერიკის ქვეყნების პრეზიდენტების მიერ ანტისანდინისტურ შეიარაღებულ ფორმირებათა დათხოვნის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის ამბავმა ნამდვილი განგაში გამოიწვია კონტრრევოლუციონერთა ბანაკში. მრავალი მათგანი ცდილობს შეუერთდეს ლტოლვილებს, რომლებიც ნიკარაგუაში ბრუნდებიან. ზოგიერთმა, როგორც, მაგალითად, ხოსე ოსორიომ, ეს შეძლო. მაგრამ ლტოლვილთა და დეზერტირებულ კონტრრევოლუციონერთა ცდებს დამოუკიდებლივ გადაკვეთონ საზღვარი, ხშირად ხელს უშლის ჰონდურასის არმია.

ბაზრობა

იზმირის საიუბილეო

სტამბოლი. იზმირის 58-ე საერთაშორისო ბაზრობაზე საბჭოთა კავშირის დღე და თავისებური იუბილეა — ზუსტად 55 წლის წინათ იზმირის ბაზრობას მიენიჭა საერთაშორისო სტატუსი. იმავე 1934 წელს დიდ ბრიტანეთთან და ერაყთან ერთად ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა პირველად მონაწილეობდა ამ ბაზრობაში.

საბჭოთა პავილიონი ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. წლეულს სპეციალისტთა დიდი ყურადღება მიიპყრო საბჭოთა ჩარხმშენებლობის ნიმუშებმა, განსაკუთრებით საქსოვი წარმოების მექანიზმებმა.

ტრადიციისამებრ ბაზრობაზე ცალკე პავილიონად არის წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკა. წლეულს ბაზრობაში მონაწილეობს საქართველოს სსრ. ცხოველი ინტერესი გამოიწვია კომპოზიციურმა მასალებმა, რომლებიც ზრდიან კოროზიის საწინააღმდეგო მახასიათებლებს და ლითონნაკეთობათა ყინვამედეგობას. მასალები შექმნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერებმა. ბაზრობაში მონაწილეობის მისაღებად იზმირში ჩამოვიდა საქართველოს ოფიციალური დელეგაცია რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ოთარ მელქაძის მეთაურობით.

ფოტოფაქტი

შფოთიანი დღეები უდგას შრი ლანკას. სინგალელი ნაციონალისტების მიერ პროვოკაციულად გამოწვეული გაფიცვების შედეგად უკიდურესად გამწვავდა ვითარება, გართულდა მოსახლეობის მომარაგება სურსათითა და პირველი მოთხოვნილების საგნებით. „ჯანატა ვიმუქტი პერამუნის“ წევრები კლავენ მშვიდობიან მოქალაქეებს, თავხედურად ესხმიან თავს საპოლიციო უბნებს და მცირერიცხოვან გარნიზონებს, ფართოდ იყენებენ შანტაჟისა და დაშინების მეთოდებს. დედაქალაქის ქუჩებში პატრულობენ შეიარაღებული პოლიციელები (სურათზე), ამოწმებენ ყველა სახის ტრანსპორტს.

საქდესის ფოტო.

კინო

კომისარი კატანი — რეჟისორი

რომი. მიქელე პლაჩიდოს არ სჭირდება წარდგენა: იტალიასა და ჩვენს ქვეყანაში მას კარგად იცნობენ როგორც მსახიობს, რომელმაც ფილმ „რვაფეხაში“ პოლიციის უშიშარი კომისრის კატანის როლი შეასრულა. ამ ლენტმა მას ფართო პოპულარობა მოუხვეჭა. მარტო იტალიაში ტელესერიალი, რომელშიც პლაჩიდო მონაწილეობდა, 14 მილიონზე მეტმა კაცმა ნახა.

მაგრამ ახლა მაყურებლებს შესაძლებლობა მიეცემათ გაეცნონ მიქელე პლაჩიდოს ნამუშევარს ახალ სფეროში — იგი პირველად მოგვევლინება რეჟისორად. თავისი ჩანაფიქრი გააცნო მან გაზეთ „იტალია ოჯის“ მკითხველებს.

მიქელე პლაჩიდომ, რომელიც ცხოვრების ამსახველი, რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული ფილმების შექმნის იდეის ერთგულია. ხელი მოჰკიდა რთულ თემას, მას სურს მაყურებელს გააცნოს განვითარებადი ქვეყნებიდან ჩამოსული იმიგრანტების მძიმე ცხოვრება. ეს თემა ახლა იტალიაში სხვადასხვა რეაქციას იწვევს — იტალიელთა ერთ ნაწილში საგრძნობლად გაძლიერდა უკმაყოფილება აზია-აფრიკის ქვეყნების მკვიდრთა მიმართ, რომლებიც აპენინის ნახევარკუნძულზე ჩამოდიან სამუშაოს საშოვრად, იზრდება რასისტული განწყობილება.

ფილმს ეწოდება „პუმარო“ — მთავარი გმირის — შავკანიანი პამიდვრის მკრეფავის სახელის მიხედვით. მის როლს ასრულებს არაპროფესიონალი განელი კინომსახიობი.

გარდაიცვალა ირვინგ სტოუნი

ნიუ-იორკი. ლოს-ანჯელესში 80 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ამერიკელი მწერალი ირვინგ სტოუნი. იგი გულის შეტევით მოკვდა შაბათს ღამით სედარს-სინაის სამედიცინო ცენტრში.

55 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე სტოუნმა დაწერა 25 წიგნი, რომლებიც დიდი წარმატებით გავრცელდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის სსრ კავშირში. 30 მილიონი ეგზემპლარი საერთო ტირაჟით. „ბიოგრაფიული რომანების პიონერს“, როგორც მას ხშირად უწოდებენ, ეკუთვნის ისეთი ცნობილი ნაწარმოებები, როგორიც არის „სიცოცხლის წყურვილი“ (1934) ვინსენტ ვან გოგის შესახებ, „ამხედრებული მეზღვაური“ (1938) ჯეკ ლონდონის შესახებ, „ჭირი და ლხინი“ (1961) მიქელანჯელოს შესახებ, „წარმოშობა“ (1980) ჩარლზ დარვინის შესახებ, როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ. სტოუნის რომანები გამოირჩევა ისტორიული და ფსიქოლოგიური უტყუარობით. მისი ხუთი წიგნის მიხედვით გადაღებულია მხატვრული ფილმები.

პუბლიცისტიკა

ეს პუბლიკაცია, რომლისთვის ბიძგი ერთმა სულ უმნიშვნელო სტატისტიკურმა მონაცემებმა მომცა, ამ რამდენიმე თვის წინათ მქონდა ჩაფიქრებული. მონახაზიც ავაგე და... ცხრა აპრილი დატრიალდა.

მას მერე გადის დრო, დღე დღეს მისდევს. მოვლენები — მასშტაბური თუ ლოკალური, მწვავე თუ მშვიდობიანი — ერთმანეთს ცვლის. თითქოს ისეთი შეგრძნება ჩნდება, რომ ის მწარე თარიღი ერთგვარ ათვლის წერტილად გვექცა. ყველა მოვლენას უნებურად მას ვუკავშირებთ — რაღაც იქამდე იყო, რაღაც — მის შემდეგ და ასე... შემთხვევით არაფერი ხდება. არც არავინ არეგულირებს ამას ხელოვნურად. მართლა რომ შეიცვალა ბევრი რამ, ამას ვერავინ უარყოფს. თითქოს თავადაც ვიცვლებით; ცოტა უკეთესები ვხდებით (თუ გვეჩვენება?!) განა მარტო ის ცოტაა, რომ სურვილი გვიჩნდება ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები?

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკაც მახსოვს: იმ დღეებში დანაშაული თითქმის არ მომხდარა ქალაქში!

ძველი ბერძნები ტრაგედიას სულის ამაღლების და განწმენდის საშუალებად მიიჩნევდნენ. ესე იგი კათარზისი დიდ ტკივილს უკავშირდება. ეგებ მართლა განგების ხელიც ერია იმ ცოდვა-ბრალში („რაცა ღმერთსა არა სწადდეს...“), რათა ტკივილს ცოტა გონზე მოვეყვანეთ, იმდენად მაინც, რომ ერთიმეორე დავინახოთ გვერდით, იმდენად, რომ სხვა თვალით შევხედოთ რაღაც-რაღაცეებს — გადაუჭრელ სასიცოცხლო პრობლემებს, საზოგადოდ — ჩვენ ხვალეს.

...დაანთე თუნდ ერთი სანთელი

თენგიზ აბულაძის „ნატვრის ხე“ მახსენდება ხოლმე ხშირად. მოხუცებული დედაკაცი სოფლის ლამაზმანს აღევნებულ თავის ოტროველა შვილიშვილს რომ დაატარებს აღმა-დაღმა და ხან ვის ეხვეწება, ხელი შემოკარ, ეგებ ცოტა გონზე მოვიდესო, და ხან — ვის. დაგვალულია, ვეღარ იზრდებაო, ჩივის სევდამწარებული მოხუცი. რამდენჯერ გამკრთალა მტკივნეული ფიქრი — მართლა ხომ არ შეჩერდა სულიერი ზრდის პროცესი ერში, ინტელიგენციის თავს დატეხილმა ამდენმა ჯოჯოხეთმა საბოლოოდ ხომ არ დაატყო თავისი მსახვრალი ხელი ეროვნულ პოტენციალს... შეიძლება მეტისმეტი იყოს ამგვარი ფიქრი, მაგრამ პრობლემა მთელი სიმძაფრით თუ არ შეიგრძენი, ხელს ვერ გამოილებ. სულიერი კომფორტის ძიების დრო ყველაზე ნაკლებად არის დღეს.

ცხრა აპრილი ერთგვარი ხელის შემოკვრა იყო, უცნაური ძილბურანისმაგვარი გარინდებიდან რომ უნდა გამოეყვანოს ყველა.

• • •

პოლონიუს: რასა კითხულობთ, ხელმწიფის შვილო?
ჰამლეტ:

სიტყვებს, სიტყვებს, სიტყვებს

ამ სტატიის დაწერა ერთმა სტატისტიკურმა მონაცემმა გადამაწყვეტინა-მეთქი. აი, ისიც: სამუშაო დროის დანაკარგების მიხედვით ჩვენი რესპუბლიკა კავშირში პირველ ადგილზეა. ახლა იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო მასშტაბით თავად ჩვენი ქვეყანაც ბოლო ადგილზე არ უნდა იყოს, ცხადი შეიქმნება ჩვენი მდგომარეობის სავალალობა. ჩვენ ჩვენი გაჭირვებისა ვთქვათ, სხვა თავისას მიხედავს. დღეს ყველა თავის გზას ეძებს. ჩვენც ჩვენი უნდა ვიპოვოთ. მაგრამ ჯერ ყველა გზა საკუთარ წარსულთან გვაბრუნებს იმიტომ, რომ ყოველი სატკივარი, დღევანდელი ქართლის ჭირის სათავე იქიდან მოედინება.

წლების მანძილზე მიგვაჩვიეს, რომ ჩვენთან ყოველთვის ყველაფერი განსაკუთრებულად კარგი, სრულყოფილიც კი იყო: საზოგადოება — ყველაზე დემოკრატიული, სამართალი — ჰუმანური, ავადმყოფიც კი — ყველაზე ჯანმრთელი მსოფლიოში. სამოცდაათი წლის შემდეგ, უკვე რეალური შეფასებით, სულ სხვა რამ აღმოჩნდა. რას მივაღწიეთ ამ ხნის მანძილზე? კონკრეტული საქმის რა მოგახსენოთ და ნამდვილად ვერავინ დაგვიწუნებს... სიტყვებს... სიტყვებს... სიტყვებს, რომელთაც, როგორც ყველას და ყველაფერს ამქვეყნად, თავისი დანიშნულება აქვს. სიტყვა თავის საქმეს — აზრის გამოხატვას მშვენივრად ასრულებს. სულ სხვაა, როცა მას საქმის როლს წამოჰკიდებენ.

დღეს, კომპიუტერიზაციის ეპოქაში, ვინმე მადლიანმა რომ დაიანგარიშოს, თუ ამ სამოცდაათი წლის მანძილზე ჩვენ ქვეყანაში რამდენი დრო დაიხარჯა გაუთავებელ თათბირებსა და კრებებზე, რამდენი სულიერი და ფიზიკური ენერგია მოუნდა მათი რეზოლუციების და დადგენილებების შეთხზვას, რამდენი ენერგია დაიხარჯა უაზრო ტაშისცემაზე, დარწმუნებული ვარ, რაღაც ასტრონომიულ ციფრს მიიღებდა. მერე ვინმემ იმის მადლიც რომ მოისხას და ისიც გადაიანგარიშოს, ეს ენერგია რეალურ საქმეს რომ მოხმარებოდა, დღეს როგორ ვიცხოვრებდით, სურათი, დარწმუნებული ვარ, მეტად შთამბეჭდავი იქნებოდა. ეს მჯერა. როგორ არ დავიჯერო, როცა სულ უბრალო მაგალითებიც ამას მოწმობს. ამერიკის შეერთებული შტატების და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საწარმოებში თურმე დიდი წარმატებით იყენებდნენ საქმიანობის, როგორ გგონიათ, რომელ ფორმას? რომელს და... სოციალისტურ შეჯიბრებას! არა, იქ ამ ფორმის დანერგვისათვის არც სპეციალური კრებები და თათბირები მოუწვევიათ და არც რეზოლუციები მიუღიათ, არც პერსონალური დავალებები გაუნაწილებიათ შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის და არც მისი მიმდინარეობის შემმოწმებელი კომისიები დაუკომპლექტებიათ თავმჯდომარე-წევრებიანად.

რაც ჩვენ სოციალისტური შეჯიბრების სიკეთის პროპაგანდაზე ენერგია დავხარჯეთ, ის რომ რეალურად მისი გამოყენებისათვის მოგვეხმარებინა, იმ შედეგებს ჩვენც მივიღებდით.

საქმე უხმოი

ისინი საქმეს აკეთებენ, ჩვენ ვლაპარაკობთ, ისინი ქმნიან, ჩვენ ვიბრძვით შესაქმნელად. სულ ვიბრძვით, გაუთავებლად ვიბრძვით, ხან ხალხის მტრების წინააღმდეგ, ხან — ერთმანეთის, ხანაც — უკეთესი მერმისისათვის. ბრძოლის სულ ახალ და ახალ ობიექტებს ვიგონებთ (ვისმე ხომ უნდა დააბრალო წარუმატებლობა). ვის ვებრძვით? რას ვებრძვით? რა ბრძოლა აგვიტყდა ასეთი? აღარ არის დრო, დავწყნარდეთ, დავმშვიდდეთ, უბრალოდ ვიცხოვროთ, ასევე უბრალოდ საქმე ვაკეთოთ.

ყოველი გამეორება ორიგინალურზე უარესიაო, ასეა ნათქვამი. ბევრჯერ და კარგად არის გამეორებული ილფისა და პეტროვის ცნობილი გამოთქმა, „საჭირო არ არის ბრძოლა სისუფთავისათვის, საჭიროა დაგავო“, მაგრამ იმდენად სრულყოფილად გამოხატავს იგი ამ სიტუაციას, რომ ვრისკავ ვიყო ორიგინალზე უარესი. აღარ გვინდა ბრძოლა, დავიღალეთ ამდენი ომით, დაგვაა საჭირო. ეს ბრძოლა სიტყვაა, დაგვა — საქმე.

...ცხრა აპრილის შემდეგ უფრო ვგრძნობდი, ვიდრე გონებით ვაანალიზებდი, რომ სამშობლოს სიყვარულმა, რომელიც მანამ გაშლილ სუფრასთან პირამდე შევსებული ფიალის მკერდზე მჯიღის ცემით ძირამდე გამოცლითღა თუ გამოიხატებოდა, სულ სხვა ფორმა მიიღო, უფრო ტკივილიანი გახდა, რაღაც თითქოს განაღდდა. ახლა კი, რამდენსაც დავინახავ აფრიალებულ ლოზუნგს — „გაუმარჯოს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს!“ — იმდენი შიში მეძალება. ისევ პლაკატომანია არ მოგვეძალოს, ისევ სიტყვამ არ შეგვიჭამოს საქმე, რომელიც, როგორც დამშეულს პურის ნატეხი, ისე გვჭირდება დღეს. თორემ რა გამოვა! წარსულს ვებრძვით, იგივე მეთოდებით კი უკეთესი მომავლის მიღწევა გვინდა. სიტყვებით და ლოზუნგებით რომ ვერაფერი ავაშენეთ, ეს ხომ ვიცით. ახლა საქმე ვსინჯოთ, ეგებ მიგვიყვანოს სასურველ მიზანთან.

კი, სამხრეთის ხალხი ვართ, ემოცია გვძალავს, ტემპერამენტი გვერჩის, მაგრამ დიდმა მიზანმა, თუ კი ის ნამდვილად იდეალია, საკუთარ ხასიათსაც უნდა გადაგვაბიჯებინოს. ვის სჭირდება ისტორიული ექსკურსები, მაგრამ მაინც... რომელი ქართველთ წინაპარი გაჰკიოდა საქართველო მიყვარს და კეთილ საქმეს მით ჩავდივარო. მათ პირველყოვლისა, საქმით უყვარდათ სამშობლო, გონებით, მარჯვენით მსახურებდნენ მას.

როცა გასწავლიან — „სჯობს საქმე უხმოი, სიტყვასა უსაქმოსა“, ყური უნდა მიუგდო რჩევას.

რა დროს მიტინგები და გაფიცვებია, რა დროს მამათა და შვილთა კინკლაობაა, აღარ გვინდა ეს ყველაფერი, ხვალინდელ საქართველოს, ბედნიერს, თავისუფალს, ამაყს, როგორიც გვინდა რომ ვიხილოთ იგი, ისე არაფერი სჭირდება, როგორც პროფესიონალები. პროფესიონალიზმი კი ქუჩაში სიარულით და მიტინგების მოწყობით არ მოდის. მუშაობაა საჭირო, თავაუღებელი მუშაობა. მიმოვიხედოთ გარშემო — რამდენი საქმე, სწორედ რომ საქმეა გასაკეთებელი. პროფესიონალი რომ მიიღო ხვალ, ამისათვის დღეს საბავშვო ბაღიდან უნდა დაიწყო, სკოლა უნდა გადაეწყოს სრულიად ახალ მოდელზე, მერე — უმაღლესი სასწავლებელი. ეს ყველაფერი კოლოსალურ ენერგიას მოითხოვს. ენერგია არის, მას სწორად გამოყენება უნდა. ეს ერთი პრობლემათაგანია.

გასაგებია: ყოველი ერთი ხელის დაკვრით ვერ გაკეთდება, ყველაფერს თავისი დრო და თავისი შემსრულებელი უნდა ჰყავდეს. სხვაგვარად წარმოუდგენელია. ხაზი სხვა რამეს მინდა გავუსვა.

საკუთარი მინდორი

ამ ტერმინს პიტერ ბრუკის ერთ-ერთ ინტერვიუში შევხვდი. ვფიქრობ, რომ საქვეყნოდ სახელგანთქმული რეჟისორის გარემოსადმი, ცხოვრებისადმი დამოკიდებულებაში ბევრი რამ არის საყურადღებო, ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის, დღევანდელ კონკრეტულ ვითარებაში. ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია, ამბობს იგი, ყოველგვარი განსჯის მიწაზე ჩამოტანა, კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირება, იმიტომ რომ ძიება მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ მინდორზეა შესაძლებელი.

თითოეულ ჩვენგანს, როგორც გლეხკაცს, საკუთარი მინდორი უნდა გვქონდეს, სადაც ყველაფერი თავიდან ბოლომდე მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული და ამ მინდორზე შესაძლებლობის მაქსიმუმი უნდა ვიღონოთ. ესე იგი ბოლომდე აქ ვიხარჯებით.

როდესაც ბრუკი ვიეტნამში ომის შესახებ პიესაზე მუშაობდა, მას ჰკითხეს, ნუთუ გგონია, რომ ამით ომს შეაჩერებო? „იდიოტი გგონივართ? რანაირად შეიძლება 20 საღამოს განმავლობაში ათასი მაყურებლის წინაშე 15 მსახიობის გამოსვლით ომის ენერგიის შეჩერება...“ იყო პასუხი. ეს მას არც მოეთხოვებოდა, რადგან იგი არც პოლიტიკოსია და არც სამხედრო ჩინი. „მე ვესწრაფოდი მიმეღწია სცენაზე იმგვარი დაძაბულობისათვის, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ამ ენერგიის თუნდაც ამ ერთ კონკრეტულ წერტილში გადაფარვას“. სხვაგვარად: ბრუკმა ყველაფერი იღონა საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში, ესე იგი საკუთარ მინდორზე.

ასეთი მინდორი გვჭირდება დღეს ყველას საქართველოში.

ამ დღეებში ერთ ასეთ თქმასაც მოვკარი ყური: „ჩვენ ქართული სულის რესტავრაცია უნდა მოვახდინოთო“. ძალიან ფართო პლანით მინდა გავიგო ფრაზის არსი, რადგან უაღრესად ტევადია თვითონ ცნება — ქართული სული. შევჩერდე კი მხოლოდ ერთ მომენტზე: ქართული სულის მოთხოვნილება ყოველთვის იყო შრომა, საქმე. სხვა ამბავია, ამ ბოლო ათწლეულებმა რომ გადაახვია იგი ამას. ეს რესტავრაციაც საჭიროა, უაღრესად საჭიროა. უამისოდ უპერსპექტივოდ მესახება ხვალინდელ დღეზე ფიქრი.

მშვენიერი თქმა არსებობს: „ვიდრე მთელი სიცოცხლე სიბნელეზე იწუწუნო, ამას სჯობს თუნდ ერთი სანთელი დაანთო“. ყველამ თითო სანთელი რომ დაანთოს, წყვდიადიც დამარცხდება.

გალინა ხარებაშვილი.

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

ქარგია სოფელი!

ბადრი ვადაჭკორიას ფოტო.

ქართული ტანსაცმელი — იზმირში

ქარგა ხანია ტრადიციად იქცა: თურქეთის ქალაქ იზმირში ყოველწლიურად იმართება საერთაშორისო ბაზრობა, რომელშიც მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მონაწილეობს. ამ ერთგვარი „აუქციონის“ მიზანია თანამედროვეობას გააცნოს უახლესი მოდური და ულტრამოდური ტანსაცმლის მოდელები. ამასთან, აქვე მიმდინარეობს ამ ნაწარმის გაყიდვაც, რაც ერთიორად ზრდის იზმირის ბაზრობის პრესტიჟსა და პოპულარობას.

წლეულს საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველოს მოდისა და ჩაცმის რესპუბლიკური ცენტრიც გაემგზავრა, თუმცა ეს მათი პირველი ნაბიჯები როდია, ქართული ტანსაცმელი იზმირში 1968 და 1979 წლებშიც გამოფენილა, მაგრამ მაშინ ამ გამოფენას კომერციული ხასიათი არ ჰქონია, ნაწარმი მხოლოდ დამთვალიერებელთათვის იყო განკუთვნილი. ამჯერად კი იზმირში 1000 ცალი ქალის ტრიკოტაჟის ნაწარმი წაიღეს. ქართული ტანსაცმელი ძირითადად თანამედროვე მოდის ყველა კომპონენტითა და ეროვნული ელემენტებითაა შემკობილი, რაც, როგორც ჩვენი სპეციალისტები ვარაუდობენ, წარმატებას მოუტანს მას.

მოდის უცხოელ თაყვანისმცემლებს საშუალება ექნებათ ნახონ და შეაფასონ 80-კომპლექტიანი ქართული მოდური კოლექცია.

რეპლიკა

ნეტავ, რამდენ „შატილობას“?

სახელს ვეკითხებით...
— უჩა.
— გვარი?
— შეთეკაური.
— რომელ კლასში ხარ?
— მესამეში.
— სად სწავლობ?
— დაბლა, ფინურში...
— მერე სად ისწავლი?
— აი, აქა!..

შატილის ზეგანზე ვართ, „აი აქა“-ს, ანუ რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის ასე უსაშველოდ დაგვიანებით ჩაყრილ საძირკველთან ვდგავართ.

უჩას უფროსი მეგობრებიც „აი აქა“-ს ამბობდნენ, ამ ოთხი-ხუთი წლის წინ, ახლა კი ბარისახოს სკოლა-ინტერნატში ბინადრობენ, შატილიდან ორმოცდაათი კილომეტრის დაშორებით.

შატილის სკოლა, დაპირებისამებრ, კარგახნის დამთავრებული უნდა იყოს და მის კედლებში შატილ-მილმახევის ხეობების 70-ზე მეტი ბავშვი ჟრიამულობდეს (აქაურებს თუ დავუჯერებთ, სადღაც დაწერილა კიდეც, შატილის სკოლაში ზარი აწკრიალდაო?).

სამწუხაროდ, ეს ნაგებობა ახლაღა იწყება. სამაგიეროდ, ბევრი ყოვლად უფუნქციო და უქმი ობიექტი აშენდა ამასობაში. ზოგი დაინგრა კიდეც...

მეტსაც ვიტყოდით, მაგრამ სქელკანიან ბიუროკრატთათვის დიდი მნიშვნელობა როდი აქვს, წერილი ვრცელი იქნება თუ მოკლე, მწვავე თუ ლოიალური.

იქნებ ეს, მოკლე წერილი მაინც ჩაიკითხონ!..

აქაურებთან საუბრისას „შატილობაზეც“ ჩამოვარდა სიტყვა — ამ ზეიმისთვისაც ცოტა სხვა თვალით ხომ არ შეგვეხედა?!..

— რატომო? — გაიოცეს, — დღეობა რომ მოახლოვდება, მაშინღა გამეცადინდება ხოლმე უფროსობა! რაც რამ გაკეთდა, „შატილობების“ სამზადისშია გაკეთებული.

მწარე სიმართლეა, ირონიულად ნათქვამი სიმართლე...

ნეტა, რამდენ „შატილობას“ „იზეიმებს“ ამ სკოლის ძლივს გაჭრილი საძირკველი?!

ავთანდილ არაბული,
საქართველოს მთის რეგიონების კომპლექსური შესწავლის კომისიის წევრი.

სპორტის ამბები

რაგბი. გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის სამი კალენდარული მატჩი. გთავაზობთ შედეგებს: სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი (ქ. მონინო)-მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 3:0, მოსკოვის „სლავა“-კიევის „ავიატორი“ — 6:6, კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროი“-ქუთაისის „აია“ — 13:14. ფინალურ ოთხეულში გასვლისათვის მებრძოლ ნახევარფინალურ ჯგუფებში გუნდების სატურნირო მდგომარეობა ამჟამად ასეთია: **„ა“ ჯგუფი. აკადემიის გუნდი — 63 ქულა, „ლოკომოტივი“ — 53,** „სლავა“ 48, „ავიატორი“ — 47; **„ბ“ ჯგუფი. „აია“ — 59 ქულა, „ექსკავატორტიაჟსტროი“ — 57,** თბილისის „ელმავალი“ — 45, მოსკოვის „ფილი“ — 43. კრასნოიარსკელებს და თბილისელებს 23-23 შეხვედრა აქვთ გამართული, მოსკოვის „ფილის“ — 22, დანარჩენ გუნდებს კი 24-24 მატჩი. საკავშირო ჩემპიონატის ამ მეორე ეტაპის ბოლოს თითოეულ გუნდს 28-28 შეხვედრა ექნება გამართული. ბოლო, ფინალური ეტაპის წინ კი გუნდებს პირველი ეტაპის 22-22 მატჩში მოპოვებული ქულები გამოაკლდებათ და მხოლოდ მეორე ეტაპზე მოპოვებული ქულებით განაგრძობენ ფინალურ ოთხეულში ასპარეზობას.

ჭადრაკი. შვეციის ქალაქ შელეფტეოში მიმდინარე მსოფლიო თასის გათამაშების ბოლო ეტაპის თერთმეტი ტურის შემდეგ გარი კასპაროვმა და ანატოლი კარპოვმა 7-7 ქულა დააგროვეს და ლიდერობენ.

იასერ სეირავანს (აშშ), ლაიოშ პორტიშს (უნგრეთი) და ნაიჯელ შორტს (ინგლისი) 6,5-6,5 ქულა აქვთ, ვალერი სალოვს, იან ელვესტს და ულფ ანდერსონს (შვეცია) — 6-6, დიულა საქსს (უნგრეთი) — 5,5, მიხეილ ტალს, რობერტ ჰიუბნერს (გფრ) და ზოლტან რიბლის (უნგრეთი) — 5-5 და ა. შ. ოთხი ტურიც და, შეჯიბრება დამთავრდება.

ფრენბურთი. მოსკოვში დამთავრდა ვ. სავინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება. სსრ კავშირის ნაკრებმა ფინალურ მატჩში დაამარცხა კუბელთა გუნდი ანგარიშით 3:2 და დაეუფლა ამ მემორიალის მთავარ პრიზს. იტალიელებმა დაამარცხეს ბულგარელები ანგარიშით 3:1 და მესამე ადგილზე გამოვიდნენ. მომდევნო ადგილები შესაბამისად დაიკავეს აშშ-ს, იაპონიის, ბრაზილიისა და შვეციის ნაკრებმა კოლექტივებმა.

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, აღმოსავლეთის ქარი 9-14, ზოგან 10-20 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 29-34, მთაში 28-33, მაღალმთიანეთში 21-26 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ზოგან ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, შესაძლებელია სეტყვა, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ბარში 28-33, მთაში 26-31, მაღალმთიანეთში 22-27 გრადუსი.

თბილისში: ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი, ტემპერატურა — 31-33 გრადუსი.

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

ტელევიზია—ოთხშაბათი, 30 აგვისტო

თბილისი

პირველი პროგრამა. 12.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 13.00—„ნაშუადღევს“. 13.50 — ქართული მხატვრული ფილმი „კაცია ადამიანი?!“. 15.20—სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შენი გზები, იაკუტიავ“ (პირველი ჩვენება). 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე (გამეორება). 16.35 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ტყეებსა და მთებს იქით“. 17.45 — მოსწავლეთათვის „თვალსაწიერი“. 18.25 — მულტიპლიკაციური ფილმი. 18.35 — გარდაქმნის წახნაგები. 19.00 — ხალხური შემოქმედება. „თუ კაცი გონიერია“ (სოფელი მზეთამზე). 19.25 — მოამბე. 20.00 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში. თბილისის „დინამო“ — „ჩერნომორეცი“. 21.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ხმები“ (პირველი ჩვენება). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ქართული მხატვრული ფილმი „წინაპართა მიწა“.

მეორე პროგრამა. 12.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 13.00 — „ნაშუადღევს“ 13.50 — ქართული მხატვრული ფილმი „კაცია ადამიანი?!“. 15.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შენი გზები, იაკუტიავ“ (პირველი ჩვენება). 15.50 — მხატვრული ფილმი „არც დაგსიზმრებიათ“ (ქართულ ენაზე). 17.20 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.10 — მხატვრული ფილმი „ფერიების საშემოდგომო საჩუქარი“. 19.25 — მოამბე. 20.00 — სატელევიზიო დადგმა „ვარშავული მელოდია“. 22.00 — „ვრემია“.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — უკრავს მევიოლინე მ. ბეზვერხნი. 9.55 — მხატვრული ტელეფილმი —„მიხაილო ლომონოსოვი“. პირველი ფილმის მესამე სერია. 11.45 — მოგზაურთა კლუბი. 12.05 — მულტფილმები. 12.30 — ი. ფრენკელის სიმღერები და რომანსები კ. ვანშენკინის ლექსებზე. 16.35 — მღერის გუნდი „მოლდოვა“. მოლდავეთის სსრ სახტელერადიო. 17.00 — დოკუმენტური ფილმი. 17.35 — პ. ჩაიკოვსკის რომანსებს მღერის ე. ნესტერენკო. 18.10 — დოკუმენტური ფილმი. 18.40 — ფოლკლორული ანსამბლის „როსიანოჩკას“ კონცერტი. 19.00 — სასწავლო წლის დამდეგისათვის. ტელემაყურებელთა კითხვებს უპასუხებს სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. იაგოდინი. 20.35 — დღეს მსოფლიოში. 20.50 — „მიხაილო ლომონოსოვი“. მეორე ფილმის პირველი სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 და 23.55 — გადაცემა რუსეთის სფსრ სახალხო არტისტ ლ. სუხარევსკაიაზე და სსრ კავშირის სახალხო არტისტ ბ. ტენინზე 23.40 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 10.15 — ვ. ბელიაევის ვოკალური ციკლი ა. პროკოფიევის ლექსებზე. 10.40 და 12.15 — გერმანული ენა. 11.10 — ა. ტოლსტოი. „რუსული ხასიათი“. 11.35 — დოკუმენტური ტელეფილმი. „პროფესია — დიზაინერი“. 12.05 — ახალი ამბები. 12.45 — ფილმი — ბავშვებს. „თექვსმეტი ქალიშვილი თექვსმეტი ქალაქიდან“. 14.00 — ახალი ამბები. 14.10 — მხატვრული ტელეფილმი „მივლინება“. I სერია. 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — მხატვრული ტელეფილმი „ალბომის ფურცელი“. 19.35 — „გარიურაკისას“. გადაცემა ირკუტსკიდან. 19.55 — სპორტული პროგრამა. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — კალათბურთი. ვაჟები. 22.00 — „ვრემია“. 22.40 მხატვრული ტელეფილმი „მივლინება“. I სერია. 23.45 — დოკუმენტური ფილმი „გადახსნილი ხიდები“. 0.40 — ახალი ამბები.

ნახეთ, ხომ არ მოგიგიათ?

ოფიციალური ცნობილი

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1989 წლის მეორე დამატებითი ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1989 წლის 25-26 აგვისტოს ქ. სამტრედიაში. ტირაჟში გათამაშდა 1.080.000 მანეთის 880 ნივთმოგება და 599.670 ფულადი მოგება. მოგება ხვდა ლატარიის ბილეთების შემდეგ სერიებსა და ნომრებს:
(მოგებათა ტირაჟი ჩატარდა ლატარიის სამ თანრიგზე)

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება
044017	148*)	50 მანეთი	—
044018	260*)	იმპ. ავეჯის გარნიტური	2125—00
044021	378*)	80 მანეთი	—
044022	246*)	ავტომანქანა „ჟიგული“-21063	9000—00
044027	306*)	მაცივარი „მინსკი“	455—00
044034	188*)	400 მანეთი	—
044048	385*)	ავტომანქანა „ჟიგული“-21063	9000—00
044050	005*)	80 მანეთი	—
044067	186*)	80 მანეთი	—
044068	500*)	ავტომანქანა „ვოლგა“ გაზ 24-10	16400—00
044070	298*)	90 მანეთი	—
044072	378*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
044077	416*)	80 მანეთი	—
044090	394*)	500 მანეთი	—
044104	186*)	50 მანეთი	—
044114	350*)	800 მანეთი	—
044119	404*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
044127	286*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
044129	261*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
044134	335*)	მაცივარი „მინსკი“	455—00
044142	105*)	100 მანეთი	—
044143	088*)	50 მანეთი	—
044147	177*)	100 მანეთი	—
044148	081*)	200 მანეთი	—
044151	094*)	400 მანეთი	—
044187	044*)	40 მანეთი	—
044228	058*)	80 მანეთი	—
044236	050*)	100 მანეთი	—
044237	465*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
044252	200*)	70 მანეთი	—
044258	232*)	400 მანეთი	—
044278	466*)	80 მანეთი	—
044288	326*)	800 მანეთი	—
044294	336*)	40 მანეთი	—
044301	119*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
044307	355*)	100 მანეთი	—
044320	160*)	800 მანეთი	—
044327	249*)	100 მანეთი	—
044331	018*)	200 მანეთი	—
044336	114*)	500 მანეთი	—
044339	146*)	90 მანეთი	—
044342	012*)	90 მანეთი	—
044359	201*)	90 მანეთი	—
044381	351*)	40 მანეთი	—
044383	307*)	400 მანეთი	—
044397	429*)	80 მანეთი	—
044398	379*)	50 მანეთი	—
044400	423*)	80 მანეთი	—
044404	379*)	200 მანეთი	—
044407	225*)	80 მანეთი	—
044414	229*)	50 მანეთი	—
044425	401*)	800 მანეთი	—
044426	198*)	80 მანეთი	—
044428	285*)	40 მანეთი	—
044429	465*)	400 მანეთი	—
044430	257*)	40 მანეთი	—
044432	122*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
044447	129*)	100 მანეთი	—
044458	420*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
044462	431*)	200 მანეთი	—
044464	046*)	400 მანეთი	—
044470	285*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
044483	392*)	80 მანეთი	—
044498	359*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
044500	322*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
044521	026*)	90 მანეთი	—
044522	270*)	80 მანეთი	—
044531	278*)	50 მანეთი	—
044532	313*)	80 მანეთი	—
044543	234*)	800 მანეთი	—
044547	348*)	ავტომანქანა „ნივა“-2121	9000—00
044558	389*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
044560	239*)	მაცივარი „ზილი“	870—00
044568	324*)	მაცივარი „მინსკი“	455—00
044591	382*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
044613	280*)	მაცივარი „მინსკი“	455—00
044644	072*)	80 მანეთი	—
044649	013*)	800 მანეთი	—
044680	167*)	800 მანეთი	—
044684	482*)	80 მანეთი	—
044709	336*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
044718	185*)	80 მანეთი	—
044723	359*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
044728	304*)	90 მანეთი	—
044736	257*)	40 მანეთი	—
044749	110*)	800 მანეთი	—
044750	064*)	800 მანეთი	—
044769	398*)	90 მანეთი	—
044771	447*)	400 მანეთი	—
044772	480*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
044788	371*)	80 მანეთი	—
044789	448*)	80 მანეთი	—
044796	297*)	50 მანეთი	—
044802	256*)	40 მანეთი	—
044808	376*)	40 მანეთი	—
044813	267*)	50 მანეთი	—
044833	125*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
044841	206*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
044866	077*)	80 მანეთი	—
044875	281*)	100 მანეთი	—
044879	137*)	200 მანეთი	—
044896	118*)	400 მანეთი	—
044902	243*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
044907	450*)	90 მანეთი	—
044917	165*)	200 მანეთი	—
044922	175*)	800 მანეთი	—
044965	139*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
044969	014*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
044978	318*)	40 მანეთი	—
044979	208*)	100 მანეთი	—
044982	285*)	80 მანეთი	—
044999	109*)	50 მანეთი	—
045003	241*)	მაცივარი „ზილი“	870—00
045009	083*)	100 მანეთი	—
045015	411*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
045016	115*)	80 მანეთი	—
045029	071*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
045050	008*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
045072	005*)	40 მანეთი	—
045091	098*)	800 მანეთი	—
045099	406*)	50 მანეთი	—
045102	107*)	100 მანეთი	—
045103	146*)	50 მანეთი	—
045156	380*)	400 მანეთი	—
045197	202*)	70 მანეთი	—
045200	424*)	40 მანეთი	—
045201	275*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
045208	468*)	100 მანეთი	—
045229	196*)	90 მანეთი	—
045234	240*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
045242	257*)	100 მანეთი	—
045257	159*)	50 მანეთი	—
045265	172*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
045269	223*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
045273	060*)	40 მანეთი	—
045291	191*)	100 მანეთი	—
045296	023*)	400 მანეთი	—
045300	194*)	80 მანეთი	—
045302	192*)	200 მანეთი	—
045306	236*)	200 მანეთი	—
045368	264*)	50 მანეთი	—
045389	379*)	40 მანეთი	—
045395	072*)	800 მანეთი	—
045396	411*)	40 მანეთი	—
045400	413*)	200 მანეთი	—
045406	366*)	100 მანეთი	—
045421	481*)	მაცივარი „მინსკი“	455—00
045425	176*)	80 მანეთი	—
045433	435*)	40 მანეთი	—
045434	196*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა“	252—00
045467	418*)	200 მანეთი	—
045468	349*)	500 მანეთი	—
045470	228*)	50 მანეთი	—
045474	351*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
045483	012*)	90 მანეთი	—
045487	175*)	80 მანეთი	—
045493	385*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
045519	329*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა“	252—00
045535	173*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
045542	462*)	ავტომანქანა „ჟიგული-2108“	8400—00
045554	308*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
045570	318*)	50 მანეთი	—
045574	084*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
045577	281*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
045581	012*)	400 მანეთი	—
045629	058*)	იმპ. ავეჯის გარნიტური	2125—00
045636	258*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
045650	392*)	800 მანეთი	—
045651	361*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
045657	036*)	100 მანეთი	—
045661	489*)	50 მანეთი	—
045693	055*)	800 მანეთი	—
045699	111*)	80 მანეთი	—
045724	251*)	80 მანეთი	—
045749	185*)	ავტომანქანა „ჟიგული“-21063	9000—00
045758	408*)	90 მანეთი	—
045763	088*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
045765	046*)	100 მანეთი	—
045786	323*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა“	252—00
045795	419*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
045798	459*)	80 მანეთი	—
045803	494*)	200 მანეთი	—
045813	154*)	200 მანეთი	—
045815	332*)	100 მანეთი	—
045817	215*)	800 მანეთი	—
045827	097*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
045828	451*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
045832	182*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
045858	014*)	90 მანეთი	—
045861	098*)	90 მანეთი	—
045881	420*)	70 მანეთი	—
045887	055*)	800 მანეთი	—
045896	352*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
045911	357*)	200 მანეთი	—
045916	371*)	800 მანეთი	—
045918	409*)	90 მანეთი	—
045938	098*)	200 მანეთი	—
045955	104*)	80 მანეთი	—
045960	226*)	800 მანეთი	—
045979	009*)	80 მანეთი	—
045985	500*)	ავტომანქანა „ნივა“-2121	9000—00
045988	063*)	100 მანეთი	—
045997	307*)	200 მანეთი	—
045998	239*)	50 მანეთი	—
046001	308*)	100 მანეთი	—
046008	013*)	40 მანეთი	—
046015	170*)	80 მანეთი	—
046044	148*)	400 მანეთი	—
046049	193*)	40 მანეთი	—
046050	017*)	100 მანეთი	—
046057	485*)	200 მანეთი	—
046062	346*)	50 მანეთი	—
046083	433*)	100 მანეთი	—
046107	070*)	400 მანეთი	—
046108	478*)	40 მანეთი	—
046112	077*)	150 მანეთი	—
046120	381*)	200 მანეთი	—
046127	135*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
046137	286*)	80 მანეთი	—
046138	386*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
046148	190*)	100 მანეთი	—
046151	285*)	80 მანეთი	—
046165	491*)	90 მანეთი	—
046184	163*)	90 მანეთი	—
046205	287*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა“	252—00
046212	155*)	80 მანეთი	—
046227	426*)	1000 მანეთი	—
046229	320*)	100 მანეთი	—
046232	341*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა“	252—00
046233	024*)	100 მანეთი	—
046238	294*)	80 მანეთი	—
046248	080*)	მაცივარი „მინსკი“	455—00
046252	269*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
046264	460*)	80 მანეთი	—
046267	292*)	50 მანეთი	—
046283	239*)	200 მანეთი	—
046287	033*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა“	252—00
046304	369*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
046324	276*)	200 მანეთი	—
046329	442*)	80 მანეთი	—
046330	022*)	ავტომანქანა „ჟიგული“-21063	9000—00
046362	490*)	50 მანეთი	—
046368	259*)	50 მანეთი	—
046370	485*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
046380	242*)	40 მანეთი	—
046385	261*)	80 მანეთი	—
046392	156*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
046396	288*)	80 მანეთი	—
046400	166*)	200 მანეთი	—
046409	013*)	80 მანეთი	—
046415	376*)	100 მანეთი	—
046422	448*)	80 მანეთი	—
046428	346*)	80 მანეთი	—
046429	054*)	50 მანეთი	—
046430	348*)	400 მანეთი	—
046446	467*)	80 მანეთი	—
046447	491*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
046449	226*)	80 მანეთი	—
046452	137*)	400 მანეთი	—
046457	237*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
046477	028*)	400 მანეთი	—
046488	306*)	500 მანეთი	—
046510	077*)	80 მანეთი	—
046514	349*)	90 მანეთი	—
046516	046*)	200 მანეთი	—
046524	071*)	80 მანეთი	—
046543	432*)	მაცივარი „ზილი“	870—00
046571	121*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
046586	185*)	100 მანეთი	—
046615	398*)	200 მანეთი	—
046619	487*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
046621	010*)	800 მანეთი	—
046658	156*)	90 მანეთი	—
046659	445*)	90 მანეთი	—
046667	001*)	90 მანეთი	—
046673	018*)	200 მანეთი	—
046685	110*)	ავტომანქანა „ჟიგული“-21063	9000—00
046688	028*)	80 მანეთი	—
046715	168*)	90 მანეთი	—
046719	026*)	800 მანეთი	—
046739	111*)	მაცივარი „ზილი“	870—00
046741	039*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
046764	326*)	100 მანეთი	—
046779	177*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
046787	005*)	მაცივარი „ზილი“	870—00
046791	489*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
046798	356*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა“	252—00
046799	488*)	800 მანეთი	—
046802	445*)	მაცივარი „მინსკი“	455—00
046810	055*)	50 მანეთი	—
046813	251*)	80 მანეთი	—
046815	395*)	800 მანეთი	—
046820	020*)	800 მანეთი	—
046828	500*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
046831	491*)	ავტომანქანა „ჟიგული“-21063	9000—00
046848	190*)	50 მანეთი	—
046849	429*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
046851	402*)	80 მანეთი	—
046857	083*)	200 მანეთი	—
046859	441*)	მაცივარი „მინსკი“	455—00
046869	208*)	80 მანეთი	—
046871	256*)	90 მანეთი	—
046881	384*)	500 მანეთი	—
046882	021*)	200 მანეთი	—
046893	018*)	800 მანეთი	—
046909	186*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
046911	358*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
046913	156*)	40 მანეთი	—
046918	426*)	400 მანეთი	—
046920	440*)	200 მანეთი	—
046926	252*)	400 მანეთი	—
046934	225*)	50 მანეთი	—
046945	259*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
046964	090*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
046970	144*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
046992	322*)	40 მანეთი	—
047006	413*)	80 მანეთი	—
047009	178*)	100 მანეთი	—
047040	214*)	800 მანეთი	—
047072	427*)	40 მანეთი	—
047079	018*)	50 მანეთი	—
047088	016*)	800 მანეთი	—
047125	120*)	მაცივარი „მინსკი“	455—00
047137	457*)	80 მანეთი	—
047157	462*)	90 მანეთი	—
047161	182*)	80 მანეთი	—
047168	411*)	50 მანეთი	—
047178	221*)	200 მანეთი	—
047219	451*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
047238	380*)	50 მანეთი	—
047246	174*)	50 მანეთი	—
047258	451*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
047278	282*)	40 მანეთი	—
047307	081*)	100 მანეთი	—
047312	340*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
047337	351*)	50 მანეთი	—
047343	167*)	100 მანეთი	—
047346	035*)	70 მანეთი	—
047359	441*)	800 მანეთი	—
047375	332*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
047381	366*)	200 მანეთი	—
047385	157*)	50 მანეთი	—
047386	308*)	100 მანეთი	—
047408	042*)	80 მანეთი	—
047418	381*)	40 მანეთი	—
047430	082*)	40 მანეთი	—
047432	319*)	მაცივარი „მინსკი“	455—00
047434	296*)	50 მანეთი	—
047437	175*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
047441	437*)	400 მანეთი	—
047456	176*)	800 მანეთი	—
047459	021*)	100 ლატარიის ბილეთი	80—00
047467	114*)	100 მანეთი	—
047484	407*)	80 მანეთი	—
047490	345*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
047493	068*)	200 მანეთი	—
047496	282*)	400 მანეთი	—
047500	041*)	70 მანეთი	—
047512	417*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
047514	252*)	100 მანეთი	—
047524	110*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
047535	045*)	80 მანეთი	—
047554	255*)	80 მანეთი	—
047571	386*)	100 მანეთი	—
047572	081*)	90 მანეთი	—
047578	184*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
047585	251*)	100 მანეთი	—
047588	249*)	ავტომანქანა „ჟიგული“-2108	8400—00
047608	449*)	50 მანეთი	—
047626	240*)	800 მანეთი	—
047635	491*)	800 მანეთი	—
047661	011*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
047666	274*)	90 მანეთი	—
047671	058*)	80 მანეთი	—
047686	035*)	150 მანეთი	—
047725	254*)	ასი ლატარიის ბილეთი	80—00
047732	292*)	40 მანეთი	—
047740	024*)	40 მანეთი	—
047751	396*)	40 მანეთი	—
047774	157*)	50 მანეთი	—
047779	123*)	800 მანეთი	—
047787	005*)	50 მანეთი	—
047791	188*)	50 მანეთი	—
047806	242*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა“	252—00
047817	059*)	80 მანეთი	—
047818	228*)	50 მანეთი	—
047826	206*)	90 მანეთი	—
047844	412*)	50 მანეთი	—
047845	278*)	80 მანეთი	—
047870	387*)	200 მანეთი	—
047881	484*)	90 მანეთი	—
047888	062*)	90 მანეთი	—
047908	029*)	50 მანეთი	—
047916	007*)	90 მანეთი	—
047949	005*)	40 მანეთი	—
047970	389*)	80 მანეთი	—
047983	123*)	50 მანეთი	—
047988	191*)	90 მანეთი	—
047992	294*)	40 მანეთი	—
047997	476*)	800 მანეთი	—

*) შენიშვნა: ლატარიის ამ სერიის ბილეთების დანარჩენ 499 ნომერს ხვდა 1 მანეთი მოგება თითოეულს.

მოგება — „100 ლატარიის ბილეთი“ გაიცემა მხოლოდ საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლის მიხედვით ნივთმოგებანი და ფულადი მოგებანი გაიცემა გაზეთის მორიგი ნომრის ადგილზე მიღების შემდეგ.

მოგებათა მიღების წესი

1. ლატარიის ბილეთის მფლობელს, რომელსაც ნივთმოგება ხვდა, თავისი სურვილისამებრ შეუძლია მოგებული ნივთის ღირებულება ნაღდ ფულად მიიღოს.

ლატარიის ბილეთის ფულადი მოგება, მომგებთა სურვილით, მოგებული ნივთის ნაცვლად 200 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებულება შეგიძლიათ მიიღოთ საქართველოს ნებისმიერი შემნახველი ბანკის დაწესებულებებში, 200 მანეთზე მეტ მოგებას 1100 მანეთის ჩათვლით გასცემენ შემნახველი ბანკის განყოფილებები და მათი ფილიალები, სადაც ორი და მეტი თანამშრომელია.

2. მოგებულ ნივთებს ლატარიის ბილეთების მფლობელთ აძლევენ ან უგზავნიან მხოლოდ ქ. თბილისის მაღაზიები.

მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთებით ყველა მარკის ავტომანქანების გაცემა წარმოებს ქ. თბილისში.

ლატარიის ბილეთები იმ მოგებებით, რომლებიც ქ. თბილისის მაღაზიების მეშვეობით უნდა გაიგზავნოს, წარედგინება შემნახველი ბანკის განყოფილებებსა და მათ ფილიალებს, სადაც ორი ან მეტი თანამშრომელია. ამასთან ლატარიის ბილეთის მფლობელი აცნობებს გვარს, სახელს, მამის სახელსა და თავისი ბინის ზუსტ მისამართს.

3. მოგებულ ნივთებს მაღაზიები გასცემენ მას შემდეგ, როცა მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთი შემოწმდება შემნახველი ბანკის დაწესებულებებში.

4. თუ ლატარიაში გათამაშებულ ცალკეულ საგნებს წარმოება აღარ უშვებს, საგნის ღირებულება მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთის მფლობელს ნაღდ ფულად მიეცემა.

5. ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შეგიძლიათ წარადგინოთ გასანაღდებლად ან მოგებული ნივთის მისაღებად 1990 წლის 30 ივნისამდე (ჩათვლით). ამ ვადის გასვლის შემდეგ ლატარიის ბილეთი ძალას კარგავს და გასანაღდებლად აღარ მიიღება.

შენიშვნა: სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში მოწყობილი ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების მფლობელთ შეუძლიათ თავიანთი ბილეთები შეამოწმონ მოგებათა ცხრილებით და მიიღონ ფულადი მოგება ან ფული მოგებული ნივთის ნაცვლად ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის, აგრეთვე ქალაქების — სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, გორის, რუსთავის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, წყალტუბოსა და გაგრის შემნახველი ბანკის განყოფილებებში.

ლატარიის ბილეთების შემოწმება შეიძლება აგრეთვე ქ. თბილისის ყველა შემნახველი ბანკის განყოფილებებში, აგრეთვე სხვა დიდი ქალაქების შემნახველი ბანკის განყოფილებებში.

კომისიის თავმჯდომარე — სამტრედიის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — ზ. ბ. ფოცხვერაშვილი,

თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ფინანსებისა და საფინანსო მექანიზმის სრულყოფის განყოფილების ფულის მიმოქცევის ქვეგანყოფილების წამყვანი ეკონომისტი — თ. ვ. ფანოზიშვილი,

თავმჯდომარის მოადგილე — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების პროფკავშირის თავმჯდომარე — ე. შ. ბებაქიძე,

პასუხისმგებელი მდივანი — სსრკ შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის ლატარიისა და ექსპერტიზის განყოფილების უფროსის მოადგილე — ზ. ვ. ჩიტალაძე.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07914 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14